1980

ეროვნული ბიბლიოთეკა



ISSN 0321-1509



# საბჭოთა ქალი






დეკემბერი
№ 12 1980 წ.





# რესპუბლიკის დიდი გამარჯვება

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს
## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქართველოს სსრ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი კმაყოფილების გრძნობით აღიქვა ცნობა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ვადამდე შეასრულეს მეათე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი მოცულობის ზრდის ტემპის დავალებანი.

სასიხარულოა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა კარგი სტარტი აიღეს ხუთწლედის პირველ წელს და ყოველწლიურად უზრუნველყოფდნენ წარმოების განვითარების მყარ და სწრაფ ტემპს. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდა 40 პროცენტით, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა საწარმოო მონყობილობის გამოყენება. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვებამ წარმოების მთლიან მოცულობაში 21 პროცენტი შეადგინა.

კარგი შედეგებია მიღწეული კაპიტალური მშენებლობის დარგში. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად ვადამდე შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთი წლის პროგრამა.

გვახარებს თქვენი წარმატებანი ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში. ამის ნათელი დადასტურებაა სოფლის მშრომელთა მიღწევები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა მესამედით და მეტად, ამაღლდა მისი ეფექტიანობა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და აბრეშუმის პარკის დამზადების დავალებანი.

საგულისხმოა, რომ პროდუქციის მატება ძირითადად მიღწეულია ინტენსიური ფაქტორების და, უწინარეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გზით.

თანამიმდევრულად ხორციელდება მუშაობა მშრომელთა კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ხუთწლედის წლებში აშენდა მნიშვნელოვანი რაოდენობის საცხოვრებელი სახლები, სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებანი, საავადმყოფოები.

თქვენი შრომითი წარმატებები რესპუბლიკის ყველა მშრომელის თავდადებული მუშაობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების უნარიანი, მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად ულოცავს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს შესანიშნავ შრომითს წარმატებებს და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელნი განამტკიცებენ მიღწეულ შედეგებს და კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოლებენ წარმოების ეფექტიანობისა და მთელი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას.

**ლ. ი. ბრეჟნევი**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი ეფექტი

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი საამქროს პნევმატურ უბანზე დაიბადა თაოსნობა — „შესვენება უწყვეტი გრაფიკით“, რომლის ინიციატორი ცნობილი ქვეოსტატი, ლენინის ორდენოსან ვასილ გეგეშიძის ბრიგადა იყო. ბრიგადის ოთხმა მქსოველმა ქარგალთან ერთად ვალდებულება იკისრა სამუშაო ზონის გაფართოებით, დასვენების უწყვეტი გრაფიკის გამოყენებით მთელი ცვლის მანძილზე შეუჩერებლივ ემუშავებინათ საქსოვი მანქანები და ამით გაეზარდათ ძვირფასი ქსოვილის წარმოება. მქსოველთა ეს თაოსნობა, ცხადია, სანიმუშო დისციპლინას, დიდ ოსტატობასა და პასუხისმგებლობას ემყარებოდა. იგი გაერთიანებაში მალე გავრცელდა და შემდგომ სხვა საწარმოებშიც დაინერგა. ეფექტი მეტად დიდი იყო.

დღემდე ინიციატორ ბრიგადაში ერთი და იგივე მქსოველები, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატები შრომობდნენ, და აი ახლახან მათ რიგებს ახალი წევრი შეემატა — ახალბედა მქსოველი ნინო ორბელაძე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თაოსნობის სიცოცხლე უკვე მეორე თაობაში გრძელდება...

* * *

ოსტატი მოდის. ახლა მოვა და ხელს შემახებს. მერე — შენი დასვენების დროაო, იტყვის მისი ტუჩები. ხმას კი ვერ გავიგონებ, მანქანების გუგუნში იკარგება. რა უცნაურია, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ მიმიკით საუბარი გამიჭირდა. პირდაპირ სასაცილო ვიყავი, როცა პირველად მანქანების გუგუნის გადაფარვას ყვირილით ვცდილობდი.

„მივდივარ, ბატონო ვასო, — ვეუბნები, — გთხოვ მეოთხე მანქანას მიხედოთ, პირდაპირ გამაწამა, ოთხი წვერი ერთად წყდება“.

„კარგი, კარგი, ჩემი ბრალია, ეგ მანქანა აქამდე უნდა შემეკეთებინა. წადი, დაისვენე, შეკეთებულს დაგახვედრებ...“

„მივდივარ“.

ამ სტრიქონების ავტორია გოგონა, რომელსაც ეს-ეს არის შეუსრულდა 18 წელი, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ბრიგადის წევრი, ბრიგადისა, რომელშიც მოხვედრაზე ყველა საუკეთესო ოსტატი ოცნებობს. რადგან მისი ხელმძღვანელიც და კოლექტივის წევრებიც მარტო შრომითი მამაცობის კი არა, მეგობრული ურთიერთდახმარებისა და კოლექტიური ურთიერთხელშეწყობის მაგალითებსაც გვიჩვენებენ. სწორედ ამ დიდ ურთიერთგაგებაზეა აღმოცენებული ის საყოველთაოდ ცნობილი თაოსნობაც, რომლის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა.

იგი სანდომიანი, კეთილი გამოხედვით, ფაქიზი მიმოხვრით, გულღია ღიმილით, საქმიანი თავდაჭერილობით გამოირჩევა.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ერთი წელია საწარმოშია და ამ დროს მისთვის უქმად არ ჩაუვლია, უამრავი რამ მოასწრო, თუნდაც ის, რომ უკვე მოსწავლედ აღარ იწოდება, წარჩინებით ჩააბარა გამოცდა თავის მასწავლებელს ლამარა ახალაძეს და თვით ვასილ გეგეშიძის ყურადღება მიიპყრო.

„ბატონი ვასო დღეს აღარ გამოჩენილა. გოგონები მეუბნებიან: სად შენ და სად გეგეშიძეო, მაგას ისეთი მქსოველები აინტერესებს, რომლებიც მისვლისთანავე 15-16 მანქანასთან იმუშავებენო. მე კი ჯერჯერობით მხოლოდ ექვს მანქანას ვუძლებ! რადაც უნდა დამიჯდეს, ზონა უნდა გავაფართოვო!"

„მესამე თვეა ივანიძის ბრიგადაში ვარ ექვს დაზგაზე. მეტი არ გამოდის. გუშინ ბატონი ვასო მოვიდა. მომესალმა და დიდხანს მესაუბრებოდა, მანქანებს შუა დამყვებოდა, ჩემს მუშაობას აკვირდებოდა. დაბოლოს თავის ბრიგადაში გადასვლა შემომთავაზა... დავთანხმდი, მაგრამ არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო ისეთი ჯადოქარი მქსოველების გვერდით, როგორიც მისი ბრიგადის წევრები ლამარა ახალაძე, ნელი ლექვინაძე, გალინა სვანიძე არიან".

„რა არის გეგეშიძის ბრიგადის თაოსნობა? როგორც ერთგან წავიკითხე, იგი ახალი აღარ არის, მაგრამ სიახლე მასში თურმე მაინც ბევრია. თვითონ ბატონ ვასოს უნდა ვთხოვო ვრცლად მესაუბროს. ვფიქრობ, უარს არ მეტყვის, ხომ უნდა ვიცნობდე იმ კოლექტივის თაოსნობას, სადაც სამუშაოდ გადავდივარ?".

* * *

„დღეს პირველი დღეა, რაც გეგეშიძის ბრიგადაში ვარ. შვიდ მანქანაზე ვმუშაობ. ძალიან მიჭირს, ოფლში ვიწურები. გოგონებმა მარტო არ დამტოვეს, ჯერჯერობით ასე სჯობსო... შესვენებაზე ნელი ლექვინაძესთან ერთად ვიყავი, ჩემს მანქანებს ბატონი ვასო ამუშავებდა, გოგონები მამშვიდებენ, შენ ისეთი დაკვირვებული ხარ, ერთ-ორ თვეში ორჯერ მეტ მანქანას მოემსახურებიო".

„ძალიან საინტერესოა ამ ხალხთან ყოფნა. იცით რა არის უწყვეტი გრაფიკით მუშაობა? მარტო ის რად ღირს, სამქროში შესვენების დროს მთელი მანქანები რომ გაჩერდეს, მარტო ჩვენი მანქანების ხმაური ისმის, მარტო ჩვენი ბრიგადის მიერ დამზადებულ ქსოვილს ემატება ახალ-ახალი მეტრები... მაგრამ თქვენ გგონიათ ჩვენ არ ვისვენებთ? ჩვენც ვისვენებთ და არავისზე ნაკლებ დროს — მთელ ნახევარ საათს! თუმცა, მოდით, უფრო კარგად გავეცნოთ ვასილ გეგეშიძის, ჩვენი ქარგლის მიერ შემუშავებულ სამუშაო გრაფიკს, ბრიგადის გამოცდილებას.

„...შეგნებული შრომა! როგორ ღვივდება მისი ჩვევა ადამიანში, როდის სჭირდება მას ხელის შეშველება, რომ ჩვენს საზოგადოებაში სოციალურად თანდაყოლილ ამ მშვენიერ თვისებას შემდგომ ბზარი არ გაუჩნდეს! ვინ უნდა იყოს ის ადამიანი წარმოებაში, რომელსაც არ უნდა გამორჩეს მუშის ხასიათის არცერთი გადახრა? — ოსტატი, მუშის გვერდით მოტრიალე ადამიანი, მისი უშუალო უფროსი, ვინც პასუხისმგებელია წარმართოს, შეაჯამოს, შეაფასოს და წაახალისოს მისივე შრომის ნაყოფი.

მძიმეა ამ პასუხისმგებლობის ტვირთი, მაგრამ იმდენად საპატიო და მიმზიდველი საქმეა, რომ ამ სიმძიმეს, შეიძლება ითქვას, ვერც კი ვამჩნევთ. დიდი ხანია ოსტატი ვარ ერთ კოლექტივში, ერთ უბანზე და ჩემმა გამოცდილებამ უკვე დამარწმუნა, რომ ადამიანებთან მუშაობა, მათი აღზრდა მხოლოდ მუდმივ, შეუცვლად ხასიათს უნდა ატარებდეს".

„გუშინ ბატონი ვასო დიდ კრებაზე კვლავ გამოვიდა და, თითქოს წინათ დაწყებულ საუბარს განაგრძობსო, თქვა: „გინახავთ თქვენ ახალგაზრდა, რომელიც საწარმოში პირველად, პირველ დღეს მოვიდა და მუშაობა გადაწყვიტა? მის შეხედვას არაფერი სჯობს. სახეზე სიამაყის ღიმილი დასთამაშებს, მხიარული და აქტიურია. ერთი სიტყვით, მზად არის მთაც კი გადააბრუნოს. აი სად იწყება ჩვენი, ოსტატების მუშაობა, მაშინვე, დაუყოვნებლივ, პირველივე დღიდან, რომ ახალგაზრდის სახეზე ეს სიამაყის ღიმილი არ ჩაქრეს. მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს? ბევრჯერ დამისვამს ასეთი კითხვა ჩემივე თავისათვის და ყოველთვის ერთი და იგივე, ალბათ ლოგიკურ პასუხამდე მივსულვარ: საჭიროა მოვეფეროთ, ყურადღება არ მოვაკლოთ, არ განვაქიქოთ მისი პირველი გაუბედავი ნაბიჯები, უხეშად არ შევეხოთ მისი სულის სიმებს, დავეხმაროთ, წავახალისოთ და სასურველ შედეგს უთუოდ მივიღებთ...

დიდებული სიტყვებია. ასე მეგონა ჩემზე ლაპარაკობდა ბატონი ვასო, რადგან ყოველივე, რაც მან თქვა, მე პრაქტიკულად გამოვცადე. ასეთივე ხასიათი მიჩვენეს ბრიგადის სხვა წევრებმაც, ამჟამად ჩემმა უფროსმა კოლეგებმა, რომლებსაც მიზანი ყოველთვის ერთი აქვთ — რაც შეიძლება, მეტი და რაც შეიძლება მაღალხარისხოვანი ქსოვილი დაამზადონ!

ამ მიზანმა შვა თაოსნობა — გვემუშავა უწყვეტი გრაფიკით. და მას რომ მიმდევრები გამოუჩნდნენ, მისი ეფექტი რომ საგრძნობი და ხელშესახებია, ეს ვასო გეგეშიძის დამსახურებაა, რომელმაც შეძლო ახალგაზრდებისაგან შეეკრა ერთსულოვანი კოლექტივი, ჩაეხედა მათ სულში, დაერაზმა ისინი მეტად ძნელი და პასუხსაგები საერთო საქმისათვის".

უწყვეტი, ანუ „მცოცავი" გრაფიკით მუშაობა პირდაპირი გაგებით „მცოცავი" გრაფიკით შესვენებას ნიშნავს. თანამედროვე საქსოვ წარმოებაში პნევმატური საქსოვი მანქანების მწარმოებლობა მეტად დიდია, მითუმეტეს, თუ ისინი გადიდებული სიჩქარით მუშაობენ. ამიტომ თითოეული მათგანის მოცდენა (თუნდაც რამდენიმე წუთით) დიდი დანაკარგია. მნიშვნელოვანი რეზერვი იქნება, რომ ეს დანაკარგი არ იყოს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ მეორე გარემოებაც, რომელიც აორკეცებს ამ სიახლის ეფექტს: თანამედროვე მუშის კვალიფიკაცია გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მან რამდენიმე მანქანასთან იმუშაოს, ე. ი. მარტო დრო კი არ მოვიგოთ, არამედ მუშახელიც დავზოგოთ!

როგორ კეთდება ეს პრაქტიკულად? ნინო ორბელაძის რვეულში უაღრესად დიდი სიყვარულით, დაწვრილებით არის აღწერილი ამ გამოცდილების პრაქტიკული მხარეები. ახალბედა მუშას მარტო თაოსნობის ძველი პერიოდის მუშაობა კი არ გაუანალიზებია, არამედ დღევანდელისა და მაშინდელი მნიშვნელოვანი მომენტების საერთო შემაჯამებელ ანალიზსაც იძლევა.

„ბატონი ვასოს აზრით, მუშაობის პირველ ეტაპზე ე. წ. დაწყვილებული ფორმის ეფექტი უფრო დიდი იყო. ეს ნიშნავს: ოთხი მქსოველიდან ორი მიდიოდა შესვენებაზე, ორიც მათ მაგივრობას ასრულებდა, მერე კი — პირიქით. დღეს სამი მქსოველი ისვენებს, ერთი კი მუშაობს ქარგლის დახმარებით, შემდეგ ქარგალი და კენტად დარჩენილი მქსოველი ისვენებენ. ასე სჯობს, იმიტომ, რომ დაბრუნებული სამი მუშის ნაყოფიერება ბევრად მეტია..."

„დღეს ბედნიერი ვარ. ბატონმა ვასომ და გოგონებმა ნება დამრთეს, რომ მარტო დავრჩე მანქანებთან. გოგონები შესვენებაზე წავიდნენ, ვასო კი არ მშორდება. ძალიან ფრთხილი კაცია, მაინც მთლიანად არ მენდობა, ჩემი გამოცდილებისა არა სჯერა. კარგად მუშაობს ჩემი 16 მანქანა (უკვე 16 მანქანას ვემსახურები), აგრეთვე ჩვენი გოგონების 17-17 მანქანა! ვასო რაღაცას ჩხირკედელაობს. თუ ყველაფერი ასე კარგად გაგრძელდა, შესვენების შემდეგ უკვე 300 მეტრზე მეტი ზეგეგმითი ქსოვილი გვექნება დამზადებული".

* * *

ვასო გეგეშიძე — საოცარი კაცი! — მოუსვენარი, მუდამ მშფოთვარე სულის ადამიანი, ახალგაზრდების მომაგე და მათი ნიჭის დამფასებელი! უწყვეტი გრაფიკით მუშაობის დაწყების იდეა მან პირველად ჟურნალისტებს გაანდო, და სიმართლე გითხრათ, ჟურნალისტებს კი არა, სპეციალისტებსაც არა სჯეროდათ, რომ უწყვეტი გრაფიკით მუშაობა ოდესმე ისეთი რეზერვი იქნებოდა, რომელიც ნამდვილ სიახლედ ჩაითვლებოდა საფეიქრო მრეწველობაში. და რამდენად სასიხარულოა, რომ ახლა, როცა ეს მეთოდი თაოსნებმაც და მისმა მიმდევრებმაც მთლიანად გამოსცადა, ეს მანქანების უწყვეტი მუშაობა ნამდვილად გახდა წარმოების ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვი!

რატომ? იმიტომ, რომ საქსოვ წარმოებაში, სადაც ძალიან დიდი მნიშვნელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს ძაფის წყვეტიანობას, თითქმის მთლიანად ამოიწურა ამ დეფექტის აღმოფხვრის დროს შემცირების რეზერვები. მუშები წყვეტიანობის აღმოფხვრის ყოველ ურთულეს ოპერაციას დროის მეტად მცირე მონაკვეთში ასრულებენ. ამ დროის შემცირება თითქმის აღარ შეიძლება. ამასთან, მანქანებიც უკიდურესი სიჩქარით მუშაობენ (რა თქმა უნდა, მქსოველთა კვალიფიკაციის მიხედვით), შრომის ნაყოფიერებაც მაქსიმალურია, ე. ი. თანამედროვე კვალიფიციურმა მუშამ სხვა გარეშე რეზერვები უნდა ეძებ ის. პნევმატურ უბანზე, სადაც რამდენიმე მანქანასთან ერთი მქსოველის მუშაობა შეიძლება, ასეთ „გარეშე რეზერვად" უწყვეტი გრაფიკით შესვენება უნდა ჩაითვალოს...

ამას ადასტურებს თაოსანთა ახლებურად მუშაობის როგორც გასული წლების, ისე წლევანდელი წლის შედეგებიც. თვითონ განსაჯეთ, როცა ფეიქრები უწყვეტი გრაფიკით მუშაობას შეუდგნენ, მანქანები ისე განაწილდა, რომ თითოეულ მქსოველს 13 მანქანა შეხვედროდა. თაოსნებმა გადაწყვიტეს წელიწადში 20–25 ათასი მეტრი ზეგეგმითი აბრეშუმის ქსოვილი დაემზადებინათ. ეს ვალდებულება ახლებურად მუშაობამდე ნაკისრ წლიურ ვალდებულებას ერთიორად აღემატებოდა.

ყველას უკვირდა, როგორ შეძლო ოთხმა მქსოველმა და ერთმა ქარგალმა წელიწადში 30-35 ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილის დამზადება. პირველად ბევრმა ეს შემთხვევით მოვლენად ჩათვალა, მაგრამ, როცა თაოსნებმა თავიანთი მიღწევა გაიმეორეს, როცა დახვეწეს მუშაობის ეს ფორმა და პროდუქციის ხარისხის დადგენილ ნორმასაც გადააჭარბეს, დაამტკიცეს, რომ „უწყვეტი გრაფიკი" არა მარტო პროდუქციის რაოდენობრივ მხარეზე ახდენდა სასურველ გავლენას, არამედ მის ხარისხობრივ მაჩვენებლებზეც, თუკი მქსოველის კვალიფიკაცია არ მოიკოჭლებდა.

...ამიტომ „უჭირდა" ვასო გეგეშიძეს თავის ბრიგადაში ახალი მქსოველის მიღება. და აი, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, როცა მან თავისი „რჩეული" გოგონების გვერდით ახალბედა ნინო ორბელაძის დაყენება გადაწყვიტა. გოგონამაც იმედი გაუმართლა: გულმოდგინე და მაძიებელი ფეიქარი დადგა.

— პროდუქციის ხარისხი ახლა მთავარია და, რაკი 16 მანქანას უკვე ვუძლვები, ისიც უნდა შევძლო, რომ დეფექტები რაც შეიძლება ცოტა იყოს, — გვეუბნება ნინო ორბელაძე. — რაოდენობრივი მხარე აღარ მაფიქრებს, ჩვენ ახლა ყოველ ცვლაში უწყვეტი გრაფიკით დასვენების ხარჯზე იმდენ დროს ვზოგავთ, რაც თვეში რვა საათიანი სამუშაო დღის ტოლია, ე. ი. სამი ათას მეტრ ზეგეგმით ქსოვილს ვამზადებთ, და ამას მარტო ჩვენი ბრიგადა როდი აკეთებს. თვითონ განსაჯეთ, სხვებმაც რომ გაიზიარონ ეს გამოცდილება, რამდენად დიდი ეფექტი იქნება!

**რ. რატიანი**



ნინო ორბელაძე, ვასო გეგეშიძე და თინა ჯაშიაშვილი



ეკა ხოხიაშვილი და ლალი ფანჩულიძე



ქეთო ფარქოსაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქტიურობა, უპირველეს ყოვლისა!

**ჩვენი რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები და დაიწყო ამ პასუხსაგები კამპანიის ახალი ეტაპი — რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. როგორც კომუნისტთა კოლექტივებში გამართულმა გულღია და პრინციპულმა სჯა-ბაასმა გვიჩვენა, თითოეული პარტიელის ფიქრი, მისწრაფება, სურვილი დღეს მთლიანად მიმართულია პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.**

**ავამოქმედოთ წინსვლის ახალი რეზერვები, აღვკვეთოთ ნაკლი ჩვენი ცხოვრების, საქმიანობის ყველა უბანზე, კარგი საძირკველი შევუქმნათ მეთერთმეტე ხუთწლედს! — აი ის საბრძოლო სულისკვეთება, რითაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.**

**კომუნისტთა აქტიურობით, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრება თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში.**

* * *

კრების დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დარბაზში ოთხად გაკეცილი ქაღალდი შემოიტანეს. ყველას თვალი ამ ქაღალდისაკენ გაექცა... ფაბრიკის ვეტერანს, 1938 წლიდან პარტიის წევრს ნინო როსტიაშვილს, რომელიც იმხანად ავადმყოფობის გამო საწოლზე იყო მიჯაჭვული და საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ვერ მოვიდა, თავისი შენიშვნები, სურვილები და წინადადებები წერილობით გამოეგზავნა. ყველა წინადადება მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, საერთოდ კი ფაბრიკის ახალგაზრდობის პრობლემებს, მუშათა მომავალი ცვლის აღზრდა-დაოსტატების საკითხებს ეხება. წერილში ლაპარაკია სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებაზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმების უფრო გონივრულ გამოყენებაზე.

ვეტერანი კომუნისტის გულისნადები თითქოს წინასწარ იცოდნენო, კრების მთელი მსვლელობაც სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის ზრუნვით წარიმართა. ფაბრიკის პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც მისი მდივანი ეთერ არონიშიძე გამოვიდა, კამათის მონაწილე კომუნისტების სიტყვებში, მიღწევებთან ერთად, დაუფარავად აღინიშნა ის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც ამ ფაბრიკის „კომუნისტური შრომის კოლექტივის“ სახელს, ცოტა არ იყოს, აფერმკრთალებს.

და სწორედ ასეთმა კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა ტონმა, პრინციპულმა და გულღია სჯა-ბაასმა საშუალება მისცა კრებას არ გამორჩენოდა მთავარი, გამოეძებნა საქმის გაუმჯობესების რეზერვები და გზები. ფაბრიკის 358-წევრიანი პარტიული ორგანიზაცია კი ის დიდი ძალაა, რომელსაც უნარი შესწევს ამრავლოს მიღწევები, უფრო გონივრულად უმეთაუროს მრავალრიცხოვან კოლექტივს, დასახოს მომავალი საანგარიშო პერიოდისათვის მოქმედების კონკრეტული პროგრამა.

შეიძლება ჩვენს რესპუბლიკაში მეორე არ იყოს ისეთი პარტიული ორგანიზაცია, როგორიც ს. ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკისაა, რომლის წევრთა თითქმის 98 პროცენტი ქალია. ამასთან, რამდენიმე კომუნისტის გარდა, ყველა უშუალოდ წარმოებაშია ჩაბმული. დღეს ორჯონიკიძელი მკერავები კანონიერი სიამაყით აცხადებენ, რომ მათ ხუთწლიანი გეგმა 3 თვით ადრე, 1 ოქტომბრისათვის განაღდეს, რომ გათვალისწინებული 34 მილიონ 900 ათასი მანეთის ნაცვლად 36 მილიონ 054 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია გამოუშვეს. სამჯერ და უფრო მეტია სოციალისტური ვალდებულებით დათქმულთან შედარებით გეგმის გადამეტებით გამოშვებული პროდუქციის ღირებულება.

კოლექტივმა წლეულსაც თავდაუზოგავად იმუშავა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 551 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ წარმატებაში ბევრმა ისახელა თავი, მაგრამ, როგორც კრებაზე თქვეს, ყველაზე მეტი წვლილი სამკერვალო საამქროს მუშა ქალებმა შეიტანეს.

მომხსენებელი და კამათის მონაწილენი სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ წარმოების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი შრომის ნაყოფიერებაა, რომ სწორედ მის ზრდაზეა დამოკიდებული მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება. ბევრი კონკრეტული ფაქტი დაასახელეს, რომელიც ნათლად წარმოაჩენს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის, გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დადგენისათვის პარტიული კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

საანგარიშო პერიოდში წარმოებაში დაინერგა 164 უნივერსალური და სპეციალური მანქანა, რითაც სამანქანო პარკი 30 პროცენტით განახლდა. ამით ათასობით მანეთი ეკონომიაა მიღებული. მაგრამ ამ მხრივ მაინც ძალიან ბევრი აქვთ გასაკეთებელი.

განსაკუთრებული სჯა-ბაასი გაიმართა იმ მუშაობაზე, რაც მიმდინარეობს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. საჭიროა, — ამბობდნენ კრებაზე, — მალე მთლიანად გადავიდეთ შრომის კოლექტიურ-ბრიგადულ ანაზღაურებაზე, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ურთიერთმომთხოვნელობა, განვავითაროთ თითოეული მუშაკის ინიციატივა, გავზარდოთ პასუხისმგებლობა. მოდით გავიხსენოთ თბილისის საქალაქო 37-ე კონფერენციის დევიზი: „ბავშვებისათვის ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ!“ ამიტომ ფაბრიკის კომუნისტებმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნიეს საბავშვო ტანსაცმლის ასორტიმენტის გაფართოება და მისი ხარისხის გაუმჯობესება.

საერთოდ, ხარისხის გაუმჯობესების პრობლემას თითქმის ყველა გამომსვლელი შეეხო. ბოლო ხანს ფაბრიკაში ცოტა რამ როდი გაკეთდა ამ მხრივ: დაინერგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. შარშან ხარისხისნიშნიანმა პროდუქციამ თითქმის 34 პროცენტს მიაღწია. წლეულსაც გადაიდგა ნაბიჯები. ამ ორწლიან საანგარიშო პერიოდში პარტიულმა კომიტეტმა 14-ჯერ განიხილა ხარისხის გაუმჯობესების საკითხები, მდგომარეობა კი მაინც შემაშფოთებელია. აბა, რად ვარგა, რომ მარტო შარშან ფაბრიკამ 67 რეკლამაცია მიიღო და ჯარიმის სახით 50 ათასამდე მანეთი გადაიხადა.

კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს პარტიული კომიტეტი და განსაკუთრებით საამქროების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ორგანიზაციები, რომელთა ღონისძიებები ხშირად მიზანს ვერ აღწევს, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიღებული დადგენილებები ფარატინა ქაღალდს ემსგავსება. მეტად ფორმალურად იმართება ხოლმე ტრადიციული „ხარისხის დღეც“.

— ხარისხი იმითაც უარესდება, — განაცხადა კრებაზე მეოთხე საამქროს პარტბიუროს მდივანმა, ცვლის უფროსმა აზა ფრანგიშვილმა, — რომ ვერ აღვკვეთეთ იერიშობანა, რომ ყველაზე უფრო მესამე დეკადაში დავფაცურდებით ხოლმე, არ ვიცით მუშაობაში ყაირათი, დროის ფასი. აქ ბევრი რამ ითქვა კონტროლის გაძლიერებაზე, მაგრამ რატომ გვავიწყდება ჩვენი დევიზი: „საკუთარი სინდისი ყველა კონტროლზე ძლიერია“!

მესამე საამქროს მკერავმა ლია ნაწიფაშვილმა კი თქვა: ვერ იქნა და ჩვენს საამქროში ვერ აღიკვეთა სამუშაოზე დაგვიანების ფაქტები. სამწუხარო ის არის, რომ ამას ზოგიერთი კომუნისტიც მიეჩვია. ჯერ კიდევ გვყავს წუნისმკეთებლები, მათი რაოდენობა საამქროში 20-ზე მეტია. ჩანს, მარტო დაჯარიმება და ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული საყვედურები მიზანს ვერ აღწევს...

როგორც ლია ნაწიფაშვილმა, ისე კამათის მონაწილე სხვა კომუნისტებმა — საქარგავი უბნის უფროსმა, სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარემ ეთერ მოხევიშვილმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მედეა გიგინეიშვილმა, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ცეცაძემ, მეორე საამქროს ბრიგადის ოსტატმა გული სილაგაძემ და სხვებმა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიიჩნიეს ახალგაზრდა მუშათა ფაბრიკაში მოზიდვისა და შენარჩუნების საკითხი. განა ნორმალურია, — თქვეს მათ, — რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან მოსული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი უკან გარბის?! ეს იმიტომ, რომ მეტად უნდა ვიზრუნოთ მათს ყოფასა და ცხოვრებაზე, თანაც დიდი ინტერესი გავუღვიძოთ მკერავის საპატიო და კეთილშობილურ პროფესიისადმი, ეს საქმე ისე შევაყვაროთ, როგორც ჩვენ გვიყვარს. უფრო შემოქმედებითად უნდა იმუშაოს დამრიგებელთა საბჭომაც.

კამათი კარგა ხანს გაგრძელდა... ყურადღების ცენტრში იყო მუშა-მოსამსახურეთა შორის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობის, ახალი მუშური ინიციატივების გავრცელებისა და განხორციელების დიდმნიშვნელოვანი საკითხები. კომუნისტებმა ამ კრებაზე მთელი კოლექტივის მისწრაფება და სურვილი გამოხატეს: წლის ბოლომდე დარჩენილ დროში 10 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვან, მომავალ საანგარიშო პერიოდში, პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერებით, უზრუნველყონ კრების დადგენილების უთუო განხორციელება, ხელდამშვენებულნი შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

**ზ. ვასაძე**



# რამდენი რამ აქვს მოსაგონარი...

მას ახლახან 55 წელი შეუსრულდა.

ვინც თვალს გადაავლებს ეთერ ღლონტის ცხოვრებას, არ შეიძლება პატივისცემითა და სინანულით არ განიმსჭვალოს მის მიმართ — სინანულით, რადგან საქართველოს ქალთა შორის ერთერთი ღირსეული ქალი — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქმიანი, ენერგიული, სიცოცხლის წყურვილით სავსე, ძალზე ადრე, მოულოდნელად მოწყდა თავის საყვარელ საქმეს, საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამხანაგ-მეგობართა წრეს და აგერ, თითქმის 10 წელია, რაც მძიმედ დაავადებული საწოლს მიეჯაჭვა.

არადა, რა საინტერესოდ აეგო ეთერის ცხოვრება: ნიჭიერმა სტუდენტმა თავიდანვე მიიპყრო თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება და როდესაც 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი, დატოვებულ იქნა კლინიკაში ექიმ-ორდინატორად.

1948 წლიდან სკკპ წევრი, ეთერ ღლონტი კლინიკაში მუშაობის პერიოდში, წარმოებიდან მოუწყვეტლივ ამთავრებს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტს და აქედან იწყება მისი დაწინაურება: თბილისის სტალინის სახელობის რაიონის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად, კიროვის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიის რაიკომის მეორე მდივნად და ბოლოს საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილედ.

ვისაც ეთერ ღლონტის გვერდით უსწავლია, უმუშავნია და უმოღვაწნია, გვხიბლავდა მისი გულღია, ლაღი, ხალისიანი ბუნება, მისი ენერგია და გულმხურვალეება, მისი სიკეთე და სათნოება.

თავის მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად, ეთერი პოეზიის სამსახურისთვისაც პოულობდა დროს და ტოლ-მეგობართა შეკრებებს საკუთარი ლექსების კითხვით ამშვენებდა. მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდას ბედმა უმუხთლა და დღეს მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით და რადიო-ტელევიზიით თუ უკავშირდება საზოგადოებრივ ცხოვრებას და დედა, შვილი, შვილიშვილი და მეგობრები უფერადებენ მოწყენილ, მისთვის ერთფეროვან დღეებს.

რამდენი რამ აქვს ეთერს მოსაგონარი... და როდესაც ფიქრით განვლილ დღეებს უბრუნდება, სევდის გასაქარვებლად ფურცლავს ლექსების რვეულს — მისი ახალგაზრდული ნაოცნებარი რომ შემოუნახავს.

მკითხველს ვთავაზობთ ეთერ ღლონტის ორ ლექსს.

## ეთერ ღლონტი

* * *

რად გსურს იცოდე, მე უშენოდ
        როგორ ვიქნები.
ისევე, როგორც ზამთრის ბაღი არის
        უვარდოდ.
ისევე, როგორც ყაყაჩოა აალებული
და ჰგავს ანთებულ ლამპარს, ოღონდ,
ოღონდ უალოს...
ისევე, როგორც ხე დგას მარტო
        დაღონებული,
ისევე, როგორც ქანდაკება —
        თითქოს ძლიერი და გაბედული,
მაგრამ რომელსაც არა აქვს გული!..

### ბროწეულის ტოტი

მომენატრა ეგ ღიმილი შენი,
მომენატრე ბროწეულის ტუჩავ...
გაიცინე, მერე როგორ გშვენის
როცა თვალებს სიხარულით ჭუტავ!
არა ხარ და, — არ მახარებს არვინ,
ო, სულ განატრობ: „როდის მოვა, როდის“!
მახალისებს შენზე ფიქრით დაღლილს
დახუნძლული ბროწეულის ტოტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟურნალ „საქართველოს ქალის" სტუმარია აკადემიკოსი ნ. ნ. ბლოხინი

# საუბარი ნ.ნ. ბლოხინთან

თბილისში გაიმართა საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის 42-ე სესია. სესიას ჩვენი ქვეყნის ბევრი სახელგანთქმული მეცნიერი დაესწრო, რომელთა შორის იყო ამ შეკრების ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი და სრულიად საკავშირო ონკოლოგიური ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ბლოხინი.

ალბათ ცოტა მოიძებნება ისეთი პოპულარული მეცნიერი, როგორიც ნ. ნ. ბლოხინია. მის სახელთან დაკავშირებულია სამამულო მედიცინის, კერძოდ ონკოლოგიის არაერთი მიღწევა თუ აღმოჩენა.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოში ონკოლოგიურ დაავადებათა ერთგვარი აფეთქება დაიწყო. დაიწყო და სამწუხარო რეკორდიც დაამყარა, კიბომ თავისი სიხშირით, გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. მაგრამ ადამიანებს უპირველესად მაინც კიბოს გაგონება ზარავთ, რაც, როგორც ეტყობა, გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტებით არის განპირობებული.

დღეს სამყაროს ვარდისფერ ოცნებად ექცა კიბოს განმკურნავი რამ სასწაულის აღმოჩენა, დადგომა იმ მშვენიერი დღისა, რომელიც ამ საშინელი სენის შიშით არ დაღამდება.

გვინდა გვჯეროდეს, რომ აკადემიკოსი ნ. ნ. ბლოხინი იმ ფეხბედნიერ მეცნიერთა წინამორბედია, რომელთაც ამ საკაცობრიო დილემის გადაჭრა უწერიათ ბედად.

სახელოვანმა მეცნიერმა სიამოვნებით მიიღო „საქართველოს ქალის" მიწვევა და დაგვეთანხმა გასაუბრებოდა მის მკითხველებს.

* * *

**— ბატონო აკადემიკოსო, იქნებ ჩვენი რესპუბლიკით დაგვეწყო, აქვს თუ არა ონკოლოგიურ დაავადებებს საქართველოში რაიმე თავისებურება?**

— დია, აქვს. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირში, პირველ ადგილზეა კუჭის კიბო, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. აქ კუჭის კიბოთი დაავადებულთა რიცხვი პროცენტული შეფარდებით გაცილებით ნაკლებია. ვფიქრობ, ეს კვებით, რაციონალური ქართული სამზარეულოთი უნდა ავხსნათ. გარდა იმისა, რომ ქართველი ქალები ძალიან გემრიელ, მეტად დახვეწილ კერძებს ამზადებენ, თქვენს საკვებს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს, — ზამთარ-ზაფხულ ახალ ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევთ. სიტყვას აღარ გაგიგრძელებთ ვიტამინების სარგებლობაზე. ზოგს ჰგონია, ცხარე, პილპილიანი და საკმაზიანი საჭმელი კიბოს აჩენსო, ეს სწორი არ არის. წიწაკასა და თქვენს ნაირფერ სანელებლებში ბევრი ვიტამინია. თუმცა აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ცხარე საჭმელები ადამიანს ვნებს ზოგი დაავადების

დროს, ასეთია კუჭ-ნაწლავების, თირკმელების, ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის და სხვა დაავადებები. აი, კიბოს კი, — მერწმუნეთ, არ აჩენს.

კუჭის კიბოთი ორჯერ მეტად ავადდებიან მამაკაცები, ვიდრე ქალები. ეს ცოდვა თამბაქოსა და ალკოჰოლს აწევს კისერზე. რაც შეეხება ფილტვის კიბოს, იგივე თამბაქოს წყალობით „ძლიერ" სქესს იგი 8-9-ჯერ მეტად ემართება. სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, მწეველი ქალებიც მამაკაცთა გვერდით აღმოჩნდებიან.

დღეს ბევრი ლაპარაკია ატმოსფეროს დაბინძურებაზე. ფილტვის კიბო როგორ არ გაგვიჩნდება, ასეთ ჰაერს ვყლაპავთო. ამ აზრს მე მთლად არ ვეთანხმები. თუ ეს ასეა, მაშინ მამაკაცებს ქალებთან შედარებით 8-9-ჯერ მეტად რატომ უჩნდებათ სიმსივნე?!

●

**— თუ შეიძლება, ქალის ორგანოების კიბოზე გვითხრათ რამე, თუნდაც მოკლედ.**

— კი ბატონო, ქალებს თავის საქმეებზე უნდა ესაუბრო.

უპირველეს ყოვლისა, აი, რით მინდა დავიწყო. ქალმა რაც შეიძლება მეტი შვილი უნდა გააჩინოს და შვილებს ძუძუ აწოვოს. გარდა იმისა, რომ ეს ქალის უზენაესი და უწმინდესი მოვალეობაა, ერთგვარი გარანტიაც გახლავთ კიბოს პროფილაქტიკისა. ადამიანის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ ყველა ორგანომ თავისი ფუნქცია აუცილებლად უნდა შეასრულოს. როდესაც ქალი ფეხმძიმდება, მისი სხეულის ურთულესი მექანიზმი საამისოდ გაეწყობა ხოლმე: საკვერცხეებსა, საშვილოსნოსა და ძუძუ-მკერდში მთლად ახალი—ინტენსიური პროცესები იწყება: დიდდება საშვილოსნო, იბერება სარძევე ჯირკვლები... ბუნება ქალს დედობისათვის ამზადებს. გადის ერთი თვე, ორი, ყველაფერი თითქმის ახლა კალაპოტშია ჩამდგარი და... უცებ, ყველაფერი უეცრად წყდება, ქირურგის იარაღი ჩანასახში სპობს ახალ სიცოცხლეს და ხშირად ავისენის თანამზრახველი ხდება. აბორტის შემდეგ, ყოველივე პირვანდელ მდგომარეობას უნდა დაუბრუნდეს, რაც ქალის ჯანმრთელობას გარკვეულ დაღს ასვამს.

ბოლო დროს საგრძნობლად იკლო საშვილოსნოს კიბოთი დაავადებულთა რიცხვმა. სამაგიეროდ, საგრძნობლად იმატა მკერდის სიმსივნით დაავადებამ. ეს ძალიან მარტივად აიხსნება: რაც დრო გადის, სულ უფრო იოლი ხდება საშვილოსნოს კიბოს ნაადრევ სტადიაში გამოცნობა. დღეს ქალი უფრო შეგნებული გახდა, იწამა მედიცინის ძალა, ხშირად მიმართავს ექიმს, რომელიც თავის მხრივ თანამედროვე, სრულყოფილი აპარატურით არის აღჭურვილი, ჩანასახშივე იგებს კიბოსწინარე დაავადებებისა და კიბოს გაჩენას. დროულად დასმული დიაგნოზი კი, მოგეხსენებათ, სრული გამარჯვების საწინდარია.

●

**— გაჩნდა თუ არა ბოლო წლებში კიბოს საწინააღმდეგო რაიმე ახალი მეთოდი ან პრეპარატი?**

— ბევრი რამ. მართალია, ჯერ რადიკალური, როგორც თქვენ ბრძანეთ, რამ სასწაული არ გამოჩენილა, მაგრამ მეცნიერება ერთ ადგილზე არა დგას, ყოველ წელს გარკვეული წარმატებები მოაქვს: უმჯობესდება დიაგნოსტიკა, გამოდის ახალი ქიმიური პრეპარატები, ვითარდება სხივური თერაპია, ინერგება ქიმიური და სხივური მკურნალობის საინტერესო კომბინირებული მეთოდები.

უკვე ხშირია სრული განკურნების შემთხვევები. ბევრი პაციენტი აგერ უკვე 10-15 წელია თავს კარგად გრძნობს და პრაქტიკულად გაჯანსაღებულად ითვლება. განკურნებულთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

●

**— პატივცემულო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ, მეტს აღარ შეგაწუხებთ კითხვებით. რას უსურვებდით ჩვენს მკითხველებს?**

— საუბრის ბოლოს ქართველ ქალებს მინდა მორიდებით შევკადრო: ქართველები ძალიან ლამაზები ხართ, განსაკუთრებით ქალები. ქუჩაში იმდენი ლამაზი ქალი ხვდება კაცს, რომ პირდაპირ გიკვირს. მაგრამ ერთი კია: მანდილოსნები ცოტა მსუქნები არიან. იქნებ ასეთი განცხადება მთლად ჯენტლმენური არ არის, მაგრამ ექიმის სინდისი უფლებას არ მაძლევს გავჩუმდე. ვიცი. ვიცი გახდომას დღეს ყველა ცდილობს, ყველამ დაიჯერა ზედმეტი წონის მავნებლობა, როგორც ესთეტიკური, ისე ჯანმრთელობის თვალსაზრისით. მაგრამ, ჩანს, მეტი მონდომებაა საჭირო, მეტი მეცადინეობა. უგემრიელესი ქართული სამზარეულო, ამჯერად, ეტყობა, თქვენდა საზიანოდ მოქმედებს. ნუგბარი კერძით გალღიძებულ მადას ზედმეტი კილოგრამები მოსდევს. ალბათ საჭიროა ყოველივე ამას ცოტა კრიტიკულად შევხედოთ, კერძები ისე დაამზადოთ, რომ უფრო სასარგებლო იყოს (გახდომის თვალსაზრისით), ვიდრე გემრიელი. უარი თქვით ტკბილეულზე და ცომეულზე; რაციონი ხორცისაგან (აქაც ზომიერებაა საჭირო), უცხიმო რძის ნაწარმისაგან, ხილისაგან და ბოსტნეულისაგან უნდა შეადგინოთ.

ვიწრო წელი ლამაზიც არის და სიცოცხლის ხანგრძლიობის ერთგვარი გარანტიაც.

ჯანმრთელობას, სილამაზეს, წარმატებებს ვუსურვებ „საქართველოს ქალის" მკითხველებს.

აკადემიკოს ნ. ნ. ბლოხინს ესაუბრა
**ნანული ცაგარეიშვილი**

# წინასაახალწლო განწყობილება

რთველი რომ მოილიეს, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა რედაქციას ეწვია. ქალიშვილებმა გული გადაგვიშალეს, თავიანთი მიზნები გაგვანდეს. ყველა მათგანის სიტყვაში ვაზის დიდი სიყვარული იგრძნობოდა.

# ვაზის ქორწილი

ქორწილებს შემოდგომაზე იხდიან. პირველად კი ვაზის ქორწილია ყოველთვის. ახლა, როგორ ემზადებიან! ქვევრებს რეცხენ და აკრიალებენ, ეზო-ყურეს ალაგებენ, მანქანების თადარიგს იჭერენ, სიმღერაში ხმას ავარჯიშებენ. ვაზის ქორწილს ყველა ეზო და სახლი იხდის. ყველა მაყარია და ყველა — დობილი.

იკრიფება მტევნები და ივსება საწნახლები. იცლება გოდრები და დუღს მაჭარი. ქშინავენ ღვინის ქარხნები და ბუტბუტებენ თათარიანი ქვაბები, მზეზე კოპწიაობენ ჩურჩხელები.

იქ, სოფელ კაკაბეთის კომკავშირულ ბრიგადაში ხუთი დობილი მიაცილებდა ვაზს საქორწილოდ. მათ ახლახან დაამთავრეს სკოლა, თავიანთი ქორწილები უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელენე ჯიქიძე —



ნანა სანთელაძე —



თამარ მეურმიშვილი —

გადაეხადათ, მაგრამ სად ეცალათ, როცა ვაზი ჰყავდათ დასაქორწინებელი. ჯერ იყო და, მის მოსვლას ელოდნენ, მერე ზრდას, მოღონიერებას, დამწიფებას და საქორწინოც შეიქნა.

თავიანთ თავზე საფიქრელად სად ეცალათ კაკაბეთელ გოგონებს, როცა ულამაზესი და უმშვენიერესი სოფელი კაკაბეთი, 1300 კომლი და 6 ათასი წყვილი თვალი უყურებდა — რას იზამენ გუშინდელი მოსწავლეები, როგორი მეურნეები იქნებიანო.

მეტი თუ არა, არავისზე ნაკლები!

მაია ნანუაშვილი სისხლით და ხორცით კაკაბეთელია. სხვაგან ცხოვრება ვერც წარმოუდგენია, აქ უნდა მკვიდრად დარჩეს, ამ სერებს უყუროს და მინდვრებისკენ გაიჭრას ტრაქტორით.

თამარ მეურმიშვილსაც არსაით მიუწევს გული. აქ ახალგაზრდას სულიერი საზრდო განა მოაკლდება! ჭრა-კერვის, საექთანო, საბუღალტრო კურსები, სხვადასხვა მხატვრული წრეები თავისკენ იწვევენ. განა შეიძლება სოფლიდან წასვლა, შრომისთვის თავის არიდება. მისი ძმა ბრიგადირია და როცა საქმეს ავალებს, დაძმობაზე აღარ ფიქრობს.

ისახელეს თავი კომკავშირლებმა — ჰექტარზე 81 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს 75-ის ნაცვლად. ახლა, ამ რთვლობის ჟამს, რამდენი მოიკლეს, რომ არნახული მოსავალი მოეყვანათ: წასვლა-წამოსვლა, გართობა...

ნანა სანთელაძეს და ვინელი კოზანაშვილს ერთხელაც არ დასცდენიათ, დავიღალეთო. ამდენი ყურძენი სხვა დროს არავის მოუკრეფია. ღამით რომ დაღლილები ბრუნდებოდნენ შინ, დილის მზე ორმაგ ძალას უდგამდა ძარღვებში და მჩატედ, ფრენით მიდიოდნენ ვენახში.

ძლიერია სოფელი, ღონიერი, თითით საჩვენებელი რაიონში. იქნებ ამის საიდუმლო ის არის, რომ კაცები ქალს ერიდებიან და ქალი თავმჯდომარის სიტყვა მათთვის კანონია.

კოლმეურნეობამ წლევანდელ გეგმებს დიდად გადააჭარბა, ყველა დარგში ჰქონდათ მიღწევები. ელენე ჯიქიძეს, ყველაზე გამოცდილს ბრიგადაში, კარგად ახსოვს წინა წლების ბარაქა და წლევანდელს რომ ადარებს, დიდ სხვაობას ხედავს. ნეტა, კაკაბეთის მიწის ნოყიერება იზრდება თუ კაკაბეთელი მიწის მუშის გარჯა და ერთგულება? მიწა იგივეა, მუშა კაცის მონდომებას კი არა აქვს საზღვარი, ადამიანის სურვილები უსასრულოა და ამას მიჰყავს სოფელი აღმავლობისკენ.

დღეში 1200 კილოგრამ ყურძენს რომ ქალი მოკრეფს და ეს ქალი, ელენე ჯიქიძე — სახლკარმოწყობილი და სოფელაყვავებული, კაკაბეთისთვის რომ მეტს მოინდომებს, გასაკვირი სულაც არ არის.



ვინელი კოზანაშვილი —



მაია ნანუაშვილი—

ყველაფერი სოციალისტური ყოფიდან, ადამიანისათვის ზრუნვიდან და დაფასებიდან მოდის. ეს წახალისება, რაც ელენეს და მის თანამოსაქმეებს ხვდათ კოლმეურნეობაში, დიდ საფუძველს ქმნის გაისისას, იმის მერე და მერმისის წლებისას.

და კვლავაც დაულევლად იქნება სოფელში ქორწილები, დათხოვდებიან გოგოები, დაირხევა „მრავალჟამიერი“.

და შემოდგომის პირველი დედოფალი — ვაზი წინ გაუძღვება საქორწილო ქალიშვილებს.

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად

# სიმდიდრე ამას ჰქვია



## წინასაახალწლო რეპორტაჟი

ისედაც მიმზიდველი აჭარის ზღვისპირეთი უფრო მომხიბვლელი ხდება, როცა ციტრუსების ბაღებს შემოდგომაზე ოქროს ღიმილი დააჩნდება და ჰაერი საამო სურნელით გაიჟღენთება. ამ დროს დიდი სიხარულია ყოველ საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, თითოეული კოლმეურნის ოჯახში, — ნამდვილი ოქროს რთველია გაჩაღებული, სილამაზის, სიუხვის, სიმდიდრის რთველი.

აჭარის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ ციტრუსების ბარაქიანი ბაღებით. არის ხე, რომელიც ათასობით ნაყოფს ისხამს, მაშინ როცა ზოგიერთი პლანტაციის საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი 30 ტონას აჭარბებს. ალბათ, ქვეყნად ძნელად მოიძებნება ისეთი მადლიანი მიწა, როგორიც აჭარაშია. მარტო ის რად ღირს, რომ ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მეციტრუსეები მთელი საქართველოს ციტრუსების ნახევარზე მეტს ამზადებენ.

ყველა მეურნეობას თვალი რომ გადაავლოთ, თითოეულ სახელოვან მეციტრუსეზე ორიოდე სიტყვა რომ ვთქვათ, დასაწერად სქელტანიანი წიგნიც არ იკმარებს. ჩვენ გადავწყვიტეთ მრავალთაგან ერთ მეურნეობაში შევიხედოთ — გონიოს საბჭოთა მეურნეობაში. იგი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ იქით ადამიანს ქარტეხილიანი ისტორიაც ეძახის და ბედნიერი აწმყოც.

გზა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ასფალტს მიჰყვება. ჭოროხის მრავალკეც ხიდს რომ გადაჭრით, ცადაწვდილ ევკალიპტების დაბურულ ხეივანში შეხვალთ და როცა ის მიილევა, თქვენს თვალწინ ზღაპრული სფინქსივით აღიმართება ჟამთა სვლისაგან ხავსმოდებული, სალი კლდის ლოდებით ნაშენი გონიოს ციხე. რამდენი რამის მომსწრეა ეს უტყვი ლოდები! ასკერებმა ამ ციხის დილეგში გამოამწყვდიეს ევროპიდან ხელმოცარულად დაბრუნებული სულხან საბა. ეს ციხე-კარიბჭე იყო ტრაპიზონისკენ მიმავალ გზაზე. დამპყრობ ატომანთა ლაშქარი ამ ციხეს აწყდებოდა. ციხე დაათვალიერა მოგზაურმა და ისტორიკოსმა ჟან შარდენმა და შემდეგ დაწერა წიგნი „ჭოროხი და მისი აუზი". ეს იყო წინათ, ავბედით წარსულში. ახლა ციხის 4 ჰექტარ ეზოში მეგობრობის ბაღია გაშენებული. აქ ტრადიციად არის დამკვიდრებული — ყველაზე სახელგანთქმულმა და პატივსაცემმა სტუმარმა ძმობის აღსანიშნავად ერთი ხე დარგოს. ამგვარად, მეგობრობის ბაღს ათასობით ხე შეემატა.

თბილი, ხალისიანი დილაა. ზამთარი სადღაც შორეულ მთებში მოჩანს, ზღვისპირეთში მაგნოლიები ყვავის და ბალახი ლურჯად ხასხასებს. მზე ჯერ ავგიის მთებს არ წამოსდგომია, მეურნეობის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კირილე ბერიძე ციხის კარიბჭესთან დგას და სატვირთო ავტომანქანებზე მსხდომთ სადღეისო დავალებებს შეახსენებს.

გონიოელ ქალებზე ნარკვევი უნდა დავწეროთ-მეთქი, — ვუთხარი.

— აგაშენა ღმერთმა, — დირექტორს სახეზე ღიმილი გადაეფინა, — ისეთი მეციტრუსე ქალები გვყავს, ვაჟკაცებს არ ჩამორჩებიან. საქართველოში მხოლოდ ერთი მეციტრუსეა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ისიც ჩვენი დიდი ოჯახის წევრია — ლიდა ნოზაძე. მეურნეობაში სამი ბრიგადაა, აქედან ორ ბრიგადას ქალი უდგას სათავეში. მოკლედ, ჩვენი ხვავი და ბარაქა მაგათი გარჯის შედეგია. წავიდეთ, საკუთარი თვალით დარწმუნდებით.

ავტომანქანა ალაყაფის კარებში შევიდა. საითაც გაიხედავთ, ყველგან ნაყოფით დატვირთულ ციტრუსის ხეებს ტოტები დაუხრია. ბაღებს ათობით, ათასობით მკრეფავი შესევია, ზოგს კიბე მიუდგამს, ზოგიც ტოტებზე წამოსკუპებულა. ბაღის სიღრმიდან შეწყობილი ხმები მოისმის, თითქოს თვით პლანტაციები ამღერებულა. ყველგან ქალების სიჭარბე იგრძნობა. სავსე კალათებს გზისპირას დაწყობილ ყუთებში ცლიან. საქმე საშურია. ჩქარობენ, მეურნეობის კოლექტივმა ივალდებულა მოსავალი შუა დეკემბრამდე აიღოს.

ფარდულთან ტურისტული ავტობუსი დგას. განაპირას ხუთასამდე ყუთი აწყვია. ყუთებთან ქართველ ქალს, № 1 ბრიგადის ხელმძღვანელს მიმოზა ჩხენკელს საექსკურსიოდ ჩამოსული პოლონელი სტუდენტები შემოსევიან. მათი საუბარი რუსულად მიმდინარეობს. მიმზიდველი, ჟანღონით აღსავსე, ხალისიანი — ასეთია მიმოზა. სტუმრებით გართულს ჩვენი მისვლა არც შეუნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმოზა ჩხენკელი და მერი მიქელაძე.

ვ. ბაბაიანის ფოტო

— თქვენს ბაღში დაკრეფილი ციტრუსი პოლონეთში იგზავნება? — ეკითხებიან სტუმრები.

— შარშან 50 ტონა გავგზავნეთ. ერთი იმდენის გაგზავნას წლეულსაც ვაპირებთ.

— გთხოვთ ბევრი გაგზავნოთ, ძალიან მოგვწონს მანდარინი — კისკისებენ ახალგაზრდები.

— მიირთვით, არ მოგერიდოთ. — მასპინძლის გულუხვობით გატაცებული მიმოზა ყუთებიდან არჩევს დაშაქრულ ნაყოფს და სტუმრებს ჩანთებს უვსებს.

— რამდენი ტონა მოგყავთ ჰექტარზე?

— შარშან 32 ტონა მოვიწიეთ, მარტო ჩემმა ბრიგადამ 690 ტონა მოკრიფა და გეგმა 190 პროცენტით შეასრულა.

— აუუუ... — აღტაცებას ვერ ფარავენ პოლონელები, — სიმდიდრეც ამას ჰქვია.

შარშან ციტრუსის ბაღებში მართლაც არნახული სიმდიდრე მოვიდა. ხეზე ნაყოფი მეტი იყო, ვიდრე ფოთოლი. ხელვაჩაურის რაიონში ბრიგადებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმოზამ ყველაზე დიდი მოსავალი მიიღო და პირველი პრემია ხვდა წილად.

— რის შედეგია თქვენი ასეთი წარმატება?

სანამ პოლონელი სტუმრები ციტრუსის კრეფაში ხელს იწაფავდნენ, მიმოზამ ჩვენთვისაც მოიცალა.

— წარმატება? — უხერხულად შეიშმუშნა. — მარტო მე რას გავხდებოდი, ოქრო ხალხი მყავს. ეს ციალა მორთულაძეა, ეს ზინა მახარაძე, — გვერდით მდგომ ქალებს სიყვარულით მოჰხვია ხელი. თითო ჰექტარ ფართობს უვლიან, შარშან 32-32 ტონა მოიწიეს, ეს მთელი ვაგონია. ასეთები ათობით მიდგანან მხარში, შვილივით თავს ევლებიან ნარგავებს. რატომაც არ გაირჯებიან; ხელფასი ხუთი ათას მანეთამდე ერგოთ, ერთი იმდენი კი პრემიის სახით მიიღეს.

— წლეულს რას ფიქრობთ, მიმოზა?

— წლეულს? — გაიმეორა კითხვა — შარშანდელს ვერ გავუტოლდებით, მაგრამ სარეკორდო მოსავალს მაინც მოვიყვანთ. სამასი ტონა უკვე მოვკრიფეთ, ალბათ 100 ტონას კიდევ მოვკრეფთ, ეს ჰექტარზე საშუალოდ 20 ტონა იქნება.

რუსმა ქალმა სავსე კალათა ყუთში ჩააპირქვავა, შემოგვხედა და შემოგვღიმა.

— რა გვარი ბრძანდებით? — ვკითხე.

— ჩემი ქმარი დავითაძეა, ჰოდა, მეც დავითაძე გავხდი. შარშან ციტრუსი უფრო მეტი იყო. წლეულს ჩემს ნაკვეთში 15 ტონა უკვე მოვკრიფე, 5 ტონა კიდევ იქნება. — ქართულად გვითხრა, — რამდენიმე დიდი ქარხნის მუშებს ხომ ეყოფათ, ესეც საქმეა.

დირექტორმა მეორე ქალი გაგვაცნო.

— ესეც ქართველთა რძალია, ვერა ზოიძე. — ქმარიც მეციტრუსეა. სეზონზე 20-20 ტონას მოიწევენ.

სანამ ვსაუბრობდით პოლონელმა ახალგაზრდებმა კრეფით გული იჯერეს და ავტობუსს მიაშურეს. მასპინძელთა გულუხვობით კალთაავსებული სტუმრები გამოთხოვებისას მანამ იქნევდნენ ხელს, სანამ მოსახვევს არ მიეფარნენ.

აღმართს ავყევით. რაც უფრო ზევით მივიწევდით, დაბლობი მით უფრო შლიდა ფრთებს და იზრდებოდა. მანქანა ბორცვზე გავაჩერეთ. ჩვენ თვალწინ მზის სხივებზე აციმციმებული ზღვა გადაიშალა, რომელიც სადღაც, თვალის საწიერზე გადასარკულ ჰორიზონტს უერთდებოდა. უმალვე მომაგონდა გალაქტიონის სტრიქონები:

შეხედე რა ცაა —
ეს არის, რაცაა...
შეხედე რა ზღვაა,
:ო, ეს ზღვა სულ სხვაა.

დიდებული ნათქვამია. ისეთი მშვიდი, ლურჯად მოლივლივე ჩანდა გარემო, — თვალს ვერ მოაშორებდით. უფრო შორს, ჩრდილოეთით ოქროსფრად ამოცურებულიყო მზის სხივებზე აელვარებული დიდებული კავკასიონი.

ფეხით დავადექით გზას. უკვე სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ლიდა ნოზაძის ნაკვეთში ვიყავით. გზისპირას, დამინდვრებაზე, სავსე ყუთებით ავტომანქანას ტვირთავდნენ. იქ ვნახეთ ლიდა. თმაში ჭაღარა შეპარვია. ლიდას შეუძლია თქვას, ჩემი ცხოვრების ნაყოფიერი წლები გონიოს საბჭოთა მეურნეობას შევალიეო. და ეს საამაყოდ აქვს. ხაშურელი ქალი სუბტროპიკოსი აგრონომის დიპლომით 1951 წელს ჩამოვიდა მეურნეობაში. აი, იმ ვეებერთელა ევკალიპტების ხეივნის გაშენებაში, რომელსაც ქოჩორი ცისთვის მიუბჯენია, ლიდამ დიდი მონაწილეობა მიიღო. თვითონ გეგმავდა, ათობით ნერგს თვითონ რგავდა და ახარებდა. იმავე წლის შემოდგომაზე 2 ჰექტარზე გააშენა 1600

ძირი ვაშინგტონ ნაველი. ახლა პლანტაცია 30 წლისაა და სიუხვით გამოირჩევა.

— მეორე წელიწადს აგროგანყოფილებაში დიდი მოსავალი, მოვიყვანეთ. დირექციამ 500 მანეთით დამასაჩუქრა, მაშინ აი ეს ოქროს საათი და სამაჯური ვიყიდე, — ტკბილად იგონებს განვლილ წლებს, ნაყოფიერი მუშაობის პირველ მტკიცე ნაბიჯებს.

წლები ერთმანეთს გადაება. გააშენეს ლიმონის, მანდარინის პლანტაციები. 60-იანი წლებიდან მეურნეობა ბრიგადებად დაყვეს, მეორე ბრიგადა ლიდას ჩააბარეს და აქამდე შეუცვლელი ბრიგადირია. ნორჩი ნერგები დავაჟკაცდა, ფესვი განიმტკიცა, მხრები გაშალა, ნაყოფით აივსო. და მათ ლიდა ისე შეჰხარის, როგორც საკუთარ შვილებს. არც სითბოს აკლებს, არც მზრუნველობას. ამიტომაც არის, რომ სარეკორდო მოსავალი მოჰყავს. მარტო შარშან მისმა ბრიგადამ 900 ტონაზე მეტი ციტრუსი მოიწია, საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა 33 ტონას გადააჭარბა. ბაღმა ასე დაუფასა ამაგი, საქვეყნოდ ცნობილი გახადა.

— ბრიგადაში 34 მუშა მყავს, აქედან 20 ქალია. ეს კაფანდარა ქალი სევიე მახარაძეა, მაღალმთიანი ხულოდან 10 წლის წინათ ჩამოსახლდა და ისე გამოიდო თავი, რომ ყველაზე დიდი მოსავალი მოჰყავს. შარშან მის ნაკვეთში 70 ტონა მოვკრიფეთ. წლეულს, ალბათ 50 ტონას გადააჭარბებს. ლიდამ სხვა აქტივისტებიც გაგვაცნო. ისინი ნაკვეთს ცალკე უვლიან, კრეფის დროს ყველა ერთად მუშაობს, ერთმანეთს შველიან.



ლ. ნოზაძე



ნინო თურმანიძე

ნეტიფე სურმანიძე თურქმენ კომიკ ბერდიევზე გათხოვდა. ბერდიევი გონიოში გაიცნო. თურქმენმა აჭარაში სამუდამოდ დარჩენა გადაწყვიტა. ახლა მათ 7 შვილი ჰყავთ და საკუთარი ციტრუსის ბაღიც აქვთ. 5 წლის წინათ ბათუმში თურქმენი ჟურნალისტები ჩამოვიდნენ. გონიოში ისე ჩავიყვანე, ერთმანეთისა არაფერი იცოდნენ. სიხარულის ცრემლები დასცვივდათ. ბერდიევმა საკუთარ სახლში მიგვიპატიჟა, ქართულად თამადობდა და ქართულ ტრადიციებს ასწავლიდა სტუმრებს. ეამაყებოდა, რომ ხუთი კი არა, ასი კაცის გამასპინძლება შეეძლო. ნეტიფე პენსიაზე გავიდა, მაგრამ შინ გული მაინც არ უდგება, — ქმრის ნაკვეთში ამოსულიყო.

საუბარში ადგილკომის თავმჯდომარე ქეთევან ჩიქოვანი ჩაგვერია. იგი საბავშვო ბაღის გამგეა, მაგრამ კრეფის დროს გული აქეთ მოუწევს. ყოველწლიურად 5-6 ტონა ციტრუსს კრეფს.

— მოწინავე ქალები? ათობით ჩამოგითვლით, — გვითხრა ქეთევანმა, — ნანული ძნელაძე, დარია შარგაროცკაია, ნინო ბერიძე, გულიკო ივანაძე, ევგენია ფუტკარაძე, ფატი ჯიბლაძე და მრავალი სხვა. ერთმანეთზე ყოჩაღები არიან. ნანული და ისმაილ ძნელაძეების ნაკვეთში 40 ტონა მოვკრიფეთ. მათ არც სხვები ჩამორჩებიან.

ყველას ჩამოთვლა, მართლაც, შორს წაგვიყვანდა, მაგრამ რაც უნდა იყოს, გონიოს მეურნეობის მოწინავე ქალებს როცა ახსენებთ, ხენიფე კახიძეს გვერდს ვერ აუვლით. მისი შრომა, შეიძლება ითქვას, უფრო მძიმეა. ხენიფე ფერმაში მუშაობს, შარშან მან 350 ცენტნერი რძე ჩამოწველა და რაიონში ყველას გაუსწრო. წლეულს წლიური გეგმა მესამე კვარტალში შეასრულა.

— ჩვენს ანსამბლზე არაფერს დასწერთ? — ქეთევან ჩიქოვანმა სიტყვა დამადევნა, — ძირითადად ქალებით არის დაკომპლექტებული. რიგაში იყვნენ გასტროლებზე. ასე რომ, მარტო შრომით როდი გაითქვეს სახელი, ჩინეთ თავი.

მართლაც შრომითი სასწაულები ხდება გონიოს მეურნეობაში. ხუთწლედის გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულეს, 1975 წელთან შედარებით შარშან სამჯერ მეტი მოსავალი მოიყვანეს. თითოეული მუშის საშუალო თვიურმა ხელფასმა 314 მანეთს მიაღწია. მეურნეობის წმინდა მოგებამ 1.252 ათას მანეთს გადააჭარბა.

იმ დღეს 1000 ტონა ჰქონდათ მოკრეფილი. ალბათ 400 ტონას კიდევ მოვკრეფთო, ივარაუდა დირექტორმა.

თავდადებული შრომა მთელი წელიწადი გრძელდება. ჯერ იყო და, 6,5 ჰექტარზე ლიმონი გააშენეს, ფერმისათვის მეურნეობაში 700 ტონაზე მეტი ბალახი შეაგროვეს, არხები გაჭრეს, პლანტაციები ათიათასობით ნერგით შეავსეს, მერე ახალი კლუბიც ააშენეს და გარემო დაამშვენეს. რაც კეთდება, ძირითადად, იმ მზრუნველი ხელებით კეთდება, რომლებიც ჩვილს ფაქიზად ახვევს, აკვანს სათუთად არწევს, და როცა ქვეყანა მოითხოვს, თოხსა და ბარს კი არა, შაშხანასაც იღებს. ასეთ დედებზე, დებზე ქართველ კაცს უთქვამს, ბარაქალა, თქვენცა და თქვენს გამჩენსაცაო!

**მიხეილ გორგილაძე**



ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
კანდიდატი ელზა პარსამიანი

# სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისათვის

გრანტ ბაგრატიანი,
მწერალი.

სომხეთმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ იზეიმა თავისი დაბადების დღე.

სამოცი წლის მანძილზე მან დიდ წარმატებებს მიაღწია დასავლეთის ხალხთა ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და ხალხთა მეგობრობის იდეებისა; შრომაში მოიპოვეს და წარმატებებისათვის მეტად ხელშეწყობი რესპუბლიკამ ოთხი წლის განმავლობაში ზედიზედ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ლენინური კომკავშირის გარდამავალი წითელი დროშა.

60 წლის წინათ რევოლუციის და ხალხის მტრებმა ბევრი მძიმე ჭრილობა მიაყენეს სომხეთს. მაგრამ მან ჩამოიშორა ხანძრების ფერფლი, გამოცოცხლდა ქალაქები, ზეიმოდის, სოფლის, ნგრევის კომბინატებისაგან;



[illegible]
სომხეთის დამსახურებული
მხატვარი.

# სიყვარული და შრომა

[illegible]



[illegible]



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი აღდგა ახალი ცხოვრებისათვის. ამუშავდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზებზე, საბადოებში, შახტებში გაისმა პირველი საყვირები.

აღდგა სოფელი.

დღის წესრიგში დადგა ლენინის დანაბარები:

— გასარწყავება უპირველეს ყოვლისა!

არხებში პირველად გავიდა მაცოცხლებელი წყალი. ამწვანდა ბაღები, ვენახები, გარდაიქმნა რესპუბლიკა.

დაიწყო ახალი ცხოვრება, რომლისთვისაც ლენინის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ რევოლუციონერები. გმირული ბრძოლების ეპოპეაში ნათელი ფურცლები ჩაწერეს სომეხი ხალხის შვილებმა, ბოლშევიკებმა — ლენინელებმა — ბაქოს კომუნის ხელმძღვანელმა სტეფანე შაუმიანმა, სურენ სპანდარიანმა, ბოგდან კნუნიანცმა, ალექსანდრე მიასნიკოვმა (მიასნიკიანი), ლეგენდარულმა კამომ (სიმონ ტერ პეტროსიანი) და სხვებმა.

სამოცი წელი... და ყოველი წელი ათწლეულის, ასწლეულის ტოლი.

მაგრამ ხალხის შრომა შეწყვიტა ყველაზე დამანგრეველმა და შეუბრალებელმა ომმა. მთელი საბჭოთა ხალხი აღდგა საძულველი მტრის წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ სომხებიც. ორმილიონიანმა რესპუბლიკამ ფრონტზე გაგზავნა 600 ათასი მებრძოლი, რომლებიც 1418 დღე-ღამე მოძმე ხალხების — რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, ქართველების, ყაზახების, ლიტველების მხარდამხარ იცავდნენ სამშობლოს.

დამთავრდა ომი. ქვეყანამ ჭრილობების მოშუშება დაიწყო. სხვა რესპუბლიკებთან ერთად სომხეთმაც სწრაფი ტემპებით იწყო განვითარება.

თუ რევოლუციამდელ სომხეთში რამდენიმე წვრილი, კუსტარული ტიპის სახელოსნო, ერევნის ღვინო-კონიაკის ქარხანა, ალავერდისა და კაფანის ფოლადის საბადოები იყო და ისინიც უცხოელ კონცესიებს ეკუთვნოდა, დღეს რესპუბლიკაში 600-მდე სამრეწველო საწარმოა.

განვითარებულია ფერადი მეტალურგია, სამთო, ქიმიური, ენერგეტიკული, დაზგათმშენებლობის, სამშენებლო მასალების, მსუბუქი და კვების მრეწველობა.

150 სახის პროდუქცია გააქვთ ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, იტალია, იაპონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლანდია და სხვა. ქიმიური პროდუქციის, დაზგებისა და მოწყობილობების წარმოებით სომხეთს მესამე-მეხუთე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში.

ღრმა მეგობრობის ფესვები აქვს რუს და სომეხ ფეიქართა მეგობრობას. 1924 წელს, როცა თვით უჭირდა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთს, ივანოვო-ვოზნესენსკის ფაბრიკის მქსოველებმა ლენინაკანელ ფეიქრებს მთელი სართავი ფაბრიკა გაუგზავნეს.

ერევნის მათემატიკური მანქანების ინსტიტუტი და ქარხანა „ელექტრონი" დიდი ხანი არ არის რაც მუშაობენ, მაგრამ მათი პროდუქცია — საანგარიშო-გამომთვლელი მანქანები ბევრი საერთაშორისო და საკავშირო ბაზრობისა და გამოფენის მონაწილეა. შარშან სომეხმა კიბერნეტიკოსებმა შექმნეს ისეთი შესანიშნავი მანქანა, რომლის სწრაფმოქმედება საშუალებას იძლევა სეკუნდში 30 მილიონი ოპერაცია ჩატარდეს.

სახელი გაითქვეს აგრეთვე კიროვაკანის ლითონდამამუშავებელმა დაზგებმა.

ეს ყველაფერი მუშაობის ნოვატორული სტილის შედეგია, მუშების, ინჟინრების და ტექნიკური პერსონალის დამსახურებაა.

ინტენსიურად ვითარდება ელექტრონიკა, რადიო-ელექტრონიკა, საანგარიშო-გამომთვლელი მანქანების წარმოება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 217 ათასი სპეციალისტი.

გაიზარდა მუშათა კლასი. რევოლუციამდელ სომხეთში იყო 15 ათასი მუშა და მოსამსახურე. ამჟამად მხოლოდ ერთი, ლენინის სახელობის ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანაში 16 ათასი მუშა შრომობს.

1978 წელს რესპუბლიკაში ერთ დღეში იმდენი სამრეწველო პროდუქცია იქმნებოდა, რაც — რევოლუციამდელ სომხეთში მთელი წლის მანძილზე.

განვითარდა სოფლის მეურნეობაც...

მძიმეა გლეხის შრომა და განსაკუთრებით სომხეთში, სადაც ქვიანი ნიადაგია. მიუხედავად ამისა, წლითიწლობით იზრდება ბაღებისა და ვენახების მოსავლიანობა. მაღალი მოსავლის ოსტატები ჰექტარზე 200-250 ცენტნერს იღებენ.

ხორბლის მოსავლიანობა — ჰექტარზე 57 ცენტნერამდე გაიზარდა.

სომხეთი ამაყობს მეცნიერებით — ასტრონომებით, ფიზიკოსებით, მათემატიკოსებით, ქიმიკოსებით.

აი, რას ამბობს სომხეთში მეცნიერების განვითარების შესახებ სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რსფსრ-ს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ა. გ. იოსიფიანი;

— ორი ათასი წლის სომხეთი — ეს არის მაღალგანვითარებული მეტალურგიის ქვეყანა, ქვეყანა, რომელიც დაამზადებს უმაღლესი სახის ქიმიურ შენაერთებს, გამტარებიან და ნახევარგამტარებიან მასალებს... მაგრამ ყოველივე ამის გარეშე, როგორც ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისა და ელექტრონიკის რთული კომპლექსებისა და კიბერნეტიკის გარეშე, წარმოუდგენელია XXI საუკუნის პროგრესი.

რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში მუშაობა თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს დონეზე მიმდინარეობს. მათემატიკაში — ეს ფუნქციების თეორიაა, ასტრონომიაში — გალაქტიკის გარე კვლევა, ფიზიკაში — ელემენტარული ნაწილაკები, ქიმიაში — ქიმიური რეაქციების მექანიზმები და სინთეტური სამკურნალო პრეპარატების შექმნა, ბიოლოგიაში — ნეიროქიმია და მცენარეთა ფიზიოლოგიური პროცესები.

არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც იცნობენ სომეხი მეცნიერების, აკადემიკოსების — ა. ნალბანდიანის, ვ. ამბარცუმიანის, ბ. მარკარიანის, მ. დურბაშიანის, გ. ბუნიატიანის, ბ. არაქელიანის, ს. ვართანიანის, ი. მაგაკიანის და მრავალ სხვათა შრომებს.

სომხეთის ლიტერატურა და ხელოვნება უძველესი და მრავალფეროვანია. სომხეთში ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნილა როგორც ლიტერატურაში, ასევე მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, მხატვრობაში. ფართოდ არის ცნობილი მარტიროს სარიანის, არამ ხაჩატურიანის, ედგარ ოგანესიანის, კომიტასის სახელობის კვარტეტის, ცეკვის სახელწიფო ანსამბლის, სახელმწიფო აკადემიური კაპელის დიდებული შემოქმედება.

ყველა ამ მიღწევაში თვალსაჩინოა ქალის როლი. ქალი მართავს ქვეყანას, ზრდის შვილებს, ასწავლის სკოლასა და ინსტიტუტში, კურნავს ადამიანებს, ზის ტრაქტორსა თუ კომბაინზე.

130 ათასი ქალი სპეციალისტი დასაქმებულია დღეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. ექიმ-ქალთა რიცხვმა 80 პროცენტი შეადგინა, — განათლებაში ეს რიცხვი 70 პროცენტს აღწევს. სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში 7 ათასზე მეტი მეცნიერ მუშაკი ქალია. ამათგან 1500 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია.

რესპუბლიკას ბევრი ჰყავს შრომის მოწინავე. ესენი არიან: ყოფილი კოლმეურნე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სოფელ შეცამორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მარიამ მარტიროსიანი; სელექციონერი, ბოსტნეულის ბევრი ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის გამომყვანი, სოციალისტური შრომის გმირი ანაიდა ანანიანი, სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინაკანის საფეიქრო კომბინატის მქსოველი კლარა სარქისიანი, ერევნის სარეზინო ქარხნის მუშა ბაგაკან ვარდიკიანი; სინთეზური სამკურნალო პრეპარატების ავტორი, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი მარო მანდჟოიანი; რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, სოციალისტური შრომის გმირი ელენე ავეტისიანი, მილანის „ლა სკალას" თეატრის სტაჟიორი, ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი მომღერალი ელადა ჩახოიანი და მრავალი სხვა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ერთ სოფელში, არენში 83 შრომის გმირია.

დიდ მიზანს, ნათელი მომავლის შენებას უძღვნიან თავიანთ შემოქმედებით ნიჭს, მთელ ენერგიასა და ძალას საბჭოთა სომხეთის შვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი სომეხი საბჭოთა მწერალი — ლეონიდ გურუნცი დაიბადა 1913 წელს, ბაქოში, მუშის ოჯახში; დამთავრებული აქვს აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი. ომის წლებში (ომის დაწყების დღიდან — დამთავრებამდე), სამხედრო კორესპონდენტად იყო ფრონტზე. ბავშვობა და ყრმობა ლეონიდ გურუნცმა მთიან ყარაბაღში გაატარა და მშობლიური კუთხის ბუნებამ და ხალხურმა სიბრძნემ წარუშლელი კვალი დააჩნია მის შემოქმედებას.

გურუნცი ოცზე მეტი წიგნის ავტორია. განსაკუთრებით ცნობილია მისი რომანები: — „ყარაბაღული პოემა“, „მაღალი მთები“, „ჰქუხს ვოროტანი“ და „ჩემი სიჭაბუკის ღრუბლები“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი მოთხრობა და პოეზიით გამსჭვალული აფორისტული მინიატურები (კრებულები: „ჩემი კერიის ქვები“ და „იასამანი ფაქიზი ხეა“).

გთავაზობთ ამ შესანიშნავი მწერლის რამდენიმე მინიატურას.

ლეონიდ გურუნცი

მხატვარი რ. ცუცქირიძე



# ვალენტინა

იგი კომკავშირიდან გარიცხეს. მარტო ერთი ხელი აღიმართა მის დასაცავად. ეს იყო ვალენტინა.

ტიგრანი არ იცნობდა მას, თუმცა ერთ ქარხანაში მუშაობდნენ. მხოლოდ ერთხელ მოეკრა თვალი, როცა გოგონას განაწესი ეჭირა ხელში და მექანიკური საამქროსაკენ გარბოდა.

იგი მეტაბელედ მუშაობდა. ტიგრანს მეხსიერებაში ჩარჩა გოგონას შავგვრემანი სახე, ტუჩების მახლობლად მიმოფანტული ხალები და დიდრონი თაფლისფერი თვალების თამამი, გამომწვევი გამოხედვა. მაგრამ ვალენტინას ხელმა ვერ იხსნა ტიგრანი და ვერ ააცდინა სასჯელს. გავიდა დრო. ტიგრანი ისევ დაბრუნდა შინ და მაშინვე მოიკითხა ვალენტინა.

— ვალენტინა? რომელია ვალენტინა? — ვერ მიმხვდარიყვნენ მეგობრები.

მაგრამ ვალენტინა თვითონ მოვიდა. იგი ისეთივე იყო, როგორიც ახსოვდა ტიგრანს, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე ეჩვენა. იგივე შავგვრემანი ქორფა სახე, იგივე ხალები ტუჩებთან და დიდრონი თაფლისფერი თვალები, რომლებიც თამამად და გამომწვევად იცქირებოდნენ.

იგი მოვიდა, რომ დაბრუნება მოელოცა ქარხნის საუკეთესო ხარატისათვის. რა იცოდა ვალენტინამ, რომ მისი ხელი უთბობდა ტიგრანს გულს, მისი ხელი მიუძღვებოდა მძიმე გზებზე და ძალას მატებდა, რომ არ დაცემულიყო იქ, სადაც აუცილებლად დაეცემოდა. ეს ხელი რომ არ ხლებოდა თან! ღირს სიცოცხლე და ტანჯვის ატანა, როდესაც ასეთი ხელი გეგულება ქვეყნად! მაგრამ ვალენტინამ არ იცოდა ეს. იგი უბრალოდ კმაყოფილი იყო, რომ ერთი კარგი ადამიანი დაუბრუნდა თავის კერას.

გმადლობ, ვალია!



# იასამნის რტო

ჩემს მაგიდაზე, ლარნაკში, იასამნის რტო დგას. ფანჯრიდან გამდნარი თოვლის ჟანგისფერი ნაფლეთები, ტიტველი, სევდისმომგვრელი ფერდობები და ხის კენწეროებზე აქა-იქ შემორჩენილი თოვლის ქულები მოჩანს. ჩემს ოთახში კი გაზაფხულია.

ჩემი მეგობარი ქვევით ცხოვრობს, ველზე, ერთი კილომეტრით დაბლა, და გაზაფხული მასთან ათი დღით ადრე მოდის. და ყოველ წელიწადს მას თავმოწონებით ამოაქვს ჩემთან, მთებში, თავისი გაზაფხულის პატარა ნაწილი. მე ძალიან მახარებს ეს ფასუთქმელი საჩუქარი და ჩემი ამხანაგი, რომელსაც იასამანი მოაქვს ჩემთან ბარიდან, ყველაზე ძვირფასი სტუმარია ჩემს სახლში.

ყველამ კარგად იცის, რა ცოტა ხანს ცოცხლობს იასამანი ოთახში. რამდენიმე დღე კოხტაობს ლარნაკში, უხვად ატკბობს ადამიანს თავისი სიქორფითა და სურნელებით, მერე კი უცებ შეხედავ და — დახუჭულა მისი პაწია ყვავილების თვალები, რუხი ფერი გადაჰკვრია და ჩამოსჭკნობია ფოთლები. და, რაც არ უნდა გენანებოდეს, ფრთხილად უნდა გაიტანო ოთახიდან, რომ იატაკზე არ დაცვივდეს მისი გამხმარი ყვავილები.

მაგრამ მე არ ვჩქარობ ჩემი იასამნის გატანას. მე ერთი ხერხი ვიცი: თუ რტოს მოაჭრი და ცხელ წყალში ჩაუშვებ, იასამანი გაიშლება. მეც ასე ვიქცევი და იასამანი ცოცხლდება, ოღონოდ ცოტა ხნით. აინთება და ხელადვე იფერფლება.

ჩემი ფანჯრის იქით მოვერცხლისფერო ძაფებად ტრიალებს ჰაერში ალვისა და ბაბუაწვერას ბუსუსები და თეთრ ლინლლად ეფინება სახლების სახურავებს, ქვაფენილებსა და ბაღის ხეივნებს. ჩვენთანაც ამოვიდა გაზაფხული. ახლა მეც შემიძლია ახალგაფურჩქნული იასამნის შოვნა, მაგრამ მე წინანდებურად ვიქცევი — დროზე ადრე არ გამაქვს ოთახიდან დამჭკნარი რტოები.

აი დღესაც ვილებ დამჭკნარი იასამნის რტოს, ძირს ვაჭრი და მდუღარე წყალში ვუშვებ.

დაე დაიწვას ჩემი იასამანი, ოღონდ არ დაბერდეს!

# იგი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა...

— ბავშვებო! ნაწნავებიანი გოგონა ხომ არ დაგინახავთ აქ? იგი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა...

იყო დრო, როდესაც ჩემს ჭრელ ნაჭრის ბურთს გარეუბნის ჩამუქებული პატარა სახლის წინ დავაქროლებდი, სწორედ იმ დროს, როდესაც სახლიდან იღლიაში წიგნებამოჩრილი მსხვილნაწნავებიანი გოგონა უნდა გამოსულიყო. იგი ამ დროს სკოლაში მიდიოდა ხოლმე. მე სახელიც კი შევარქვი მას — „არევი" ვუწოდე, რაც მზეს ნიშნავს.

მიდის არევი, მე უკან მივყვები, ჩვენს შორის კი ბურთი დაქრის, რომელსაც ფეხით მივათამაშებ.

ბურთის თამაში საგანგებოდ მოვიგონე. არ მეშინია, რომ „თავქარიან ქუჩის ბიჭს" ან რაიმე უარესს მიწოდებენ.

ფეხდაფეხ მივყვები არევს ორ ნაბიჯზე, და, როგორც კი შესაფერ წუთს ვიხელთებ, მსუბუქად ვურტყამ ბურთს მოთელილ ფეხსაცმელზე. ეს დარტყმა მტკივნეული არ არის და ნაბიჯს ვერ შეაშლევინებს გოგონას, მაგრამ იგი ოდნავ აბრუნებს ჩემკენ თავს და — ხულიგანოო, მახლის ზიზღით.

ამ სიტყვის გაგონება საწყენია, მაგრამ მიანც მიხარია: რაც არ უნდა იყოს, გამომელაპარაკა...

... დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. და აი ისევ ამ ქუჩაზე ვარ, ის სახლი, რომლის ფანჯრების წინ ბურთს ვთამაშობდი ხოლმე, უკვე აღარა დგას. მის ადგილას ახალი სახლი აღუმართავთ. უცებ ვხედავ, რომ ამ მაღალი უცნობი სახლის ფანჯრის წინ ვიღაც ბიჭუნა ზოლებიან ნაჭრის ბურთს მიათამაშებს...

— ბავშვებო? ნაწნავებიანი გოგონა ხომ არ დაგინახავთ აქ? იგი ამ სახლში ცხოვრობდა...



# ბალადა სიყვარულზე

სოფლის შემოსასვლელში, გზის პირას, ერთი ხე იდგა, განმარტოებული ხე, რომელიც გაზაფხულზე ისე ყვაოდა, რომ ღამით, გზაც რომ არ სცოდნოდა კაცს, მარტო მისი სინათლით გამოიკვლევდა გზას ჩვენს სოფელში. მაგრამ ქათქათა ყვავილები ისე ჭკნებოდა, რომ ნაყოფს არ ილებდნენ.

ამბობდნენ, ეს ხე შორიდან მოვიდა. ადამიანმა, რომელმაც იგი აქ მოიტანა და დარგო, თან არ წამოილო მისი მეგობარი და იმიტომ ანათებს ხე სიბნელეში, რომ გზა გაუნათოს იმას, ვისაც ელისო.

ადამიანი, რომელმაც ეს ხე დარგო, დიდი ხანია მოკვდა, მოხუცდნენ და დაიხოცნენ მისი შვილებიც. ხე კი დღემდე დგას გზის პირას, სოფლის შემოსასვლელში, და ყოველ გაზაფხულზე უნათებს გზას შორეულ მეგობარს, რომელიც აუცილებლად მოვა.

შეჩერდი, გამვლელო, და მდაბლად დახარე თავი ამ სიყვარულის წინაშე!

თარგმანი ლილი კალანდაძისა





# ოლია ნაკანი

სვანური ზარი მიაცილებდა იმ დღეს ოლია ნაკანს თბილისის ქუჩებში...

მეგობართა, ახლობელთა და პატივისმცემელთა ტალღა-ტალღას მისდევდა და ბოლოს საბურთალოს სასაფლაოზე, საქართველოს დიდებულ მოღვაწეთა პანთეონთან შეჩერდა, რომ უკანასკნელი სიტყვა „მშვიდობით" ეთქვა ქართველი ხალხის ერთ-ერთი სახელოვანი, ამაგდარი ქალისათვის.

სექტემბრის ქარიანი დღე იყო და ისეთი გრძნობა გვეუფლებოდა, თითქოს ხეებიც, ზარის ხმას აყოლილნი, მწუხარედ ირხეოდნენ და სვანეთის მთებიც კი აქ, საპატიო ყარაულში ჩამომდგარნი, ჭაღარა ქუდებს იხდიდნენ და დაბლა თავს ხრიდნენ თავიანთი საამაყო ქალიშვილის საპატივცემოდ — ქალისა, რომლის ცხოვრების არსი ერთი მრავლისმტევადი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს „გმირობა!"

მართლაც გმირული ეპიზოდებით აიკინძა ოლია ნაკანის ცხოვრების წიგნი, რომლის თავფურცელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაბადების დღეებს დაემთხვა და შემდეგ საბჭოთა საქართველოსთან ერთად ივსებოდა, რათა მომავალ თაობებს დარჩენოდა სასოებით საკითხავად და მისაბაძ მაგალითად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლია ტარასის ასული ნაკანი დაიბადა 1921 წელს მესტიის რაიონის სოფელ მესტიაში. საშუალო განათლება მშობლიურ რაიონში მიიღო. ხოლო 1944 წელს დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკური ინსტიტუტი.

აქედან იწყება ამ შესანიშნავი ქალის შრომით და ბრძოლით გასაკვლევი ცხოვრების გზა.

ვინ იცის, რამდენი ფიზიკური და სულიერი ძალა უხარჯავს ოლია ნაკანს მესტიის ზოოვეტუბნის გამგეობიდან რაიონის მთავარ ზოოტექნიკოსობამდე, საქართველოს ალკკ მესტიის რაიკომის პირველი მდივნობიდან — საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის მეორე მდივნობამდე. 1975 წლიდან კი იგი საწარმოო გაერთიანება „საქცხოველმრეწვის" უფროს ზოოტექნიკოსად მუშაობდა.

ორგანიზებული, ენერგიული, გულითადი — იგი ადვილად მიიკვლევდა გზას ადამიანის გულისაკენ: სპეტაკი, უპრეტენზიო, ნათელი პიროვნება უყვარდა არა მარტო მის სვანეთს, არამედ ყველას, ვისაც საშუალება მისცემია, ერთი თვალის გადავლებით მაინც გასცნობოდა ოლია ნაკანის ცხოვრების ამბავს.

ძნელად კი წარმოიდგენდით მას — მეგობრების წრეში ასე ჩუმსა და თვინიერს, მთის ბუნების მკაცრ სტიქიონებთან და იმ სტიქიონებზე არანაკლებ მკაცრ მთის ძველი ცხოვრების გადმონაშთებთან მებრძოლს — ცხენზე ამხედრებული რომ დაჰქროდა სოფლიდან სოფლად, სვანეთის ციცაბო ბილიკებზე.

საბრძოლო კი მართლაც ბევრი ჰქონდა ოლია ნაკანს, რადგან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებთან ერთად, არა ნაკლებ საპატიო და აუცილებელი იყო ბრძოლა იურიდიულად თავისუფალი მთის ქალის ფაქტიური თავისუფლებისათვის, მისი ზრდა-დაწინაურებისათვის.

ამ თავდაუზოგავი შრომითა და ბრძოლით მოიპოვა ოლია ნაკანმა არა მარტო მშობლიური სვანეთის — მთელი ქართველი საზოგადოებრიობის, პარტიისა და ხელისუფლების პატივისცემა და ოქტომბრის რევოლუციისა და „საპატიო ნიშნის" ორდენები, სიგელები, მედლები და საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდება. იგი რამდენჯერმე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომისა და ბიუროს წევრად, მესტიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს დეპუტატად.

კიდევ მრავალი ჰქონდა ოლია ნაკანს საოცნებო და საკეთებელი და ალბათ კიდევ მრავალ მადლობას მიაგებდა მას მისი მშობელი ხალხი, რომ მძიმე ავადმყოფობას არ გადაეკვეთა ამ დიდებული ქალის ცხოვრების გზა.

მაგრამ ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლნი და მოღვაწენი უკვალოდ არა ჰქრებიან. უკვდავია და დაუვიწყარი ადამიანთა სახიკეთოდ ნაშრომ-ნაღვაწი და ამიტომ გვჯერა, რომ ოლია ნაკანს თავის საამაყო შვილთა შორის, სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებს დედა-სამშობლო.

## მამული მხრებს შლის

აკვანთან გალობ
და შენს ჰანგზე
მამული მხრებს
შლის,
გესათუთება და სიცოცხლის
ძარღვს ხედავს შენში.
დგას ყვავილობა —
მამულის მძლე
უკვდავი ფესვის,
აღზევებული სიხარული
ერის და ბერის.
ულერს იავნანა
მირონი და სიწმინდე ზეცის,
ზეიმი სულის,
უკვდავება და ჯილდო დედის,
ნაზად ატოკებს
აკვნის გუმბათს
თოთო კვირტები,
შეჰღიმილებ და
შენც სიკეთის
მადლით ივსები.
ნაზი თითებით
ფრთხილად აბამ
სიცოცხლის საბელს,
იავნანათი აჩუქურთმებ
შენს დედურ სათქმელს.
აშორდეს ნაკრძალს
— ბავშვობისას
უხეში ფეხი,
და ჰქონდეთ ტყეებს
აკვნად გათლილ
ხეების ბედი.
ბევრი მოიმკე
მადლი შენი
რაც დაითესა,
კვლავ ახალ დღეებს
უზრდი ცოტნეს,
უზრდი ქიტესას,
ახწავლი პირმშოს
სალოცავი მიწის ღირსებას,
რომ მამულს — ტაძარს,
მისი სულის
ფრესკაც სჭირდება.
აკვანთან გალობ
და მამული
მაღლდება ჩვენი,
შენს ყვავილობას
შეჰფოფინებს
მშობელი ერი.

## ამაღლება

ფიქრი მამულს შემოავლე
ფუძემტკიცე გალავნებად,
სულზე უტკბესს სულ სჭირდება
ჩვენი მხრებით ამაღლება.
საუკუნის ბზარგაჩენილს
წარსულს, სწრაფად უნდა შველა,
მამულია უკვდავება,
წარმავალი არის ყველა.
როცა ზეცით მადლმოსილო,
ხმალი გხმლობს და თორი გთორობს,
იცი ფასი მშვიდობისა
და აღმერთებ მამულს მხოლოდ.
როცა გულზე გაბნევია
საქართველო — დიდი ჯვარი,
იქვე გულთან შხუის ახლოს,
არაგვი და დინჯი მტკვარი.
როცა ლხინში აბჯარასხმულს
არ გჩვევია გალაღება,
ისე, შენ რომ არ გგონია
ჩუმად მოდის ამაღლება!

ლინა ბარათაშვილი

## ტაძარი

გინდა შეიგრძნო სიამე
ბუნების სილამაზისა?
გინდა შეიგრძნო სიტურფე
გარდასულ დრო და ჟამისა?
ადი და ნახე ტაძარი,
დარდგამოვლილი, ჭაღარა,
კლდის ქიმზე დაკიდებული
ლამაზი, კოხტა, პატარა.
გადმოსცქერ გაშლილ მიდამოს,
მოიკლაკნება არაგვი,
დღედაღამ მოდის, სულ მოდის,
არ უთავდება მარაგი.
ნუ დაიზარებ, გასწიე
სიტურფის საძებნელადა,
თან გაიყოლე სასმისი —
ერთი პატარა ხელადა:
არ დაივიწყო შენდობა,
წმინდაა მათი სახელი,
ვინც ააშენა სალ კლდეზე
წარსულის გამომსახველი.
ვეძებოთ, ყველამ ვეძებოთ,
ტაძრები ცაში ასული,
სული ჩავუდგათ, ვაცოცხლოთ
უკვდავყოთ ჩვენი წარსული.

ლიზა ჭონქაძე
დიასახლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენი ინტერვიუ**

**კარგად მოწესრიგებული, განვითარებული სატელეფონო ქსელი — ეს არის თანამედროვე ქალაქის სასიცოცხლო, ნერვული სისტემა, ამიტომაც ტელეფონზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება, აუცილებელი ხდება.**

**მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ სატელეფონო მომსახურებას ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებები.**

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს ვთავაზობთ საუბარს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრთან ამხ. ვ. კობახიძესთან.**

**ეს საუბარი ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკთა წინაშე მდგომ დღევანდელ აქტუალურ, გადაუდებელ საკითხებსა და მომავალში გადასაჭრელ პრობლემებს ეხება.**

გვესაუბრება

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი

**ვ. ი. კობახიძე**

# კავშირგაბმულობის პრობლემები

**ჩვენი აზრით, რესპუბლიკის კავშირგაბმულობამ ბოლო ხანს სახე იცვალა. მნიშვნელოვანი მიღწევებია საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირების განვითარებაში. მაგრამ გვაინტერესებს, რა ღონისძიებები ხორციელდება ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და იმისათვის, რომ უფრო ამაღლდეს მომსახურების დონე?**

მართლაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური აღჭურვისა და შემდგომი განვითარებისათვის. 1965 წელთან შედარებით ათჯერ და მეტად გაიზარდა საქალაქთაშორისო სატელეფონო არხების, სამჯერ — საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტების რაოდენობა.

ჩვენს მუშაობაში ვხელმძღვანელობდით და ვხელმძღვანელობთ იმ უმნიშვნელოვანესი მითითებებით, რომლებიც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გამოთქვა თბილისის 37-ე პარტიულ კონფერენციაზე. კრიტიკა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო, და ჩვენ სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ.

მაგრამ, ვფიქრობთ, კავშირგაბმულობის მუშაკები ჯერ კიდევ დიდ ვალში არიან თბილისის მოსახლეობის წინაშე. ისევ დაბალია კავშირგაბმულობის საშუალებებით მოსახლეობის მომსახურების დონე, მომსახურების კულტურა. დედაქალაქის სატელეფონო ქსელი სრულყოფილად და გამართულად ჯერ კიდევ ვერ მუშაობს, მაგრამ თანდათანობით ბევრი რამ კეთდება ამ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ვცდილობთ მოვაგვაროთ აღრიცხვიანობაც, რადგან ტელეფონის დადგმის მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, განცხადებების რაოდენობამ 120 ათასს გადააჭარბა!

ვნერგავთ ტექნიკურ სიახლეებსაც. მაგალითად, ქ. თბილისში უკვე ამოქმედდა ახალი საქალაქთშორისო სატელეფონო სადგური, რის შედეგადაც რიგ ქალაქებთან ავტომატური კავშირი მისაწვდომი გახდა დედაქალაქის ყველა აბონენტისათვის. შენდება ორი სატელეფონო სადგური საბურთალოზე, ერთი — ლილოში და ერთიც — ვაზისუბნის მიდამოებში.

რესპუბლიკაში ქალაქისა და სოფლის სატელეფონო კავშირის განვითარებას უდიდესი ყურადღება ექცევა. უახლოეს მომავალში დაგეგმილია საქალაქთშორისო სატელეფონო ხაზების მკვეთრი ზრდა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, დააჩქარებს აბონენტების დაკავშირებას სხვადასხვა ქალაქთან.

საინტერესოა, რომ ქალაქის სატელეფონო სადგურების ტევადობა წლევანდელი წლის ბოლოსათვის 301 ათას ნომერს მიაღწევს!

●

**თქვენთან ტელეფონის დადგმის მომლოდინე ბევრი მცხოვრები დგას რიგში. არიან უკმაყოფილონიც, ლოდინს ბოლო არ უჩანსო. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

— გულახდილად გეტყვით, განსაკუთრებით კალინინისა და კიროვის რაიონებში არიან უკმაყოფილო, დიდი ხნის აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები. ძირითადი სირთულე სადგურების სრულყოფილი შენობების უქონლობაა. მაგრამ კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რომ მომავალ ხუთწლედში ამ რაიონებში აშენდეს 10 ათას ნომრიანი ერთი სატელეფონო სადგური.

არის სხვა პრობლემებიც. მაგალითად, ჯერ კიდევ ჭიანურდება დაზიანებული ტელეფონების აღდგენა. ყველა საქალაქთშორისო შეკვეთა გათვალისწინებულ დროზე არ სრულდება. დეპეშების გარკვეული რაოდენობა ადრესატებს დაგვიანებით ან დამახინჯებული ტექსტით ბარდება. ბევრი საფოსტო გზავნილება და პერიოდული გამოცემა ადრესატამდე დროზე არ მიდის... თუმცა ყოველივე ზემოთ აღიშნულის გამო ბევრი ღონისძიება ტარდეაა.

●

**არის ასეთი შემთხვევაც, ტელეფონი არ ჩაირთვება, ანდა სხვაგან მოხვდები, ხდება პირიქითაც: სხვას ურეკავენ და შენ გესმის მისი ზარი. ტელეფონში ისმის პარალელური საუბრები, ხან მუსიკა, რადიოგადაცემის აკომპანიმენტი და სხვ... რად ხდება ასე, რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— რა თქმა უნდა, მთავარი პრობლემა ტელეფონის ცუდი მუშაობაა. არის სატელეფონო კაპრიზები. უპირველესად, დაზიანება სატელეფონო სადგურსა და ქსელში, სიგნალი არ მოდის, სხვაგან ხვდებით, ცუდად ისმის. ანდა კიდევ საქალაქთშორისო ტელეფონის სადგურის მორიგე პერსონალი ზოგ შემთხვევაში მართლაც აჭიანურებს სხვადასხვა ქალაქთან ან რაიონთან დაკავშირებას, რაც ძირითადად აღნიშნულ მიმართულებებზე საქალაქთშორისო არხების უკმარისობის ბრალია. არის ცალკეული თანამშრომლების საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევებიც. ჩვენ ვებრძვით ასეთ ფაქტებს. მაგრამ, ვფიქრობთ, მთავარია, რომ ტელეფონები რიგიანად მუშაობდეს, დაზიანებათა შეკეთებასთან ერთად საჭიროა ავტომატურ სატელეფონო სადგურებში ამაღლდეს საექსპლოატაციო სამუშაოების წარმოების კულტურა, სატელეფონო სადგურების მექანიზმების მუშაობა. როგორც ვთქვით, ჯერ კიდევ მდარეა მომსახურება, ხშირია ტელეფონისტების უხეშობის ფაქტებიც.

ზოგჯერ ერთ ნომერზე ვრეკავთ და სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან კი ვხვდებით. ამის მიზეზი, უპირველესად, ის არის, რომ ჯერ კიდევ ყველა სატელეფონო სადგურში ავტომატური მოქმედების ხელსაწყოები ტექნიკურად მთლად ვარგისი არ არის, თუმცა კი მკვეთრად შემცირდა გაუმართავი ავტომატტელეფონების რიცხვი, რომელიც ამჟამად მთელი რაოდენობის 15 პროცენტს შეადგენს. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ თბილისის სატელეფონო ქსელში ჩართული 200 ათასზე მეტი ტელეფონის აპარატიდან, ყველას წესრიგში როდი აქვს ნომრის ამკრეფი მოწყობილობა. მხედველობაში მაქვს თვით სატელეფონო ქსელის, ასევე საუწყებო სატელეფონო სადგურების როგორც ძირითადი, ისე დამატებითი აპარატების რაოდენობა. ამ საკითხში ნაწილობრივ ჩვენი აბონენტებიც სცოდავენ. სადგურის „ზუმერის" მიღებიდან იწყებენ ნომრის აკრეფას და შუალედში არ უსმენენ სადგურის სიგნალებს, რის გამოც სპეცსამსახურის ნომრებზე (01, 02 და ა. შ.) ხვდებიან. ყოველდღიურად დიდ შრომატევად სამუშაოებს ასრულებს სატელეფონო ქსელის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. მაგრამ კავშირგაბმულობის მუშაკებს, ცხადია, ყოველივე ეს მაინც არ გვამართლებს. საჭიროა მკაცრი, თანმიმდევრული, სისტემატური კონტროლი.

რაც შეეხება იმას, რომ ლაპარაკის დროს მიკროტელეფონის ყურმილში ზოგჯერ გვესმის სიმღერა, მუსიკა, ეს ძირითადად იმის ბრალია, რომ, მართალია, ქსელში ამ უკანასკნელ წლებში ბევრი კაბელი შეიცვალა, ბევრიც კაპიტალურად შეკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ არის შესაცვლელი და შესაკეთებელი. ამიტომ უკვე შედგენილია ამ სამუშაოების გეგმა-ღონისძიება. ვფიქრობთ, ამ საკითხსაც სასურველად გადავჭრით. მუსიკა და სიმღერები საუბართან ერთად ჩვენს ტელეფონებში კაბელის ცალკეული წყვილების დაბალი იზოლაციის და მიწასთან მათი შეერთების შედეგია.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს კაპიტალურად შეკეთდა ბევრი მაგისტრალი, შემაერთებელი და განმანაწილებელი კაბელი. ბოლო წელიწადნახევარში, მაგალითად, 400 კილომეტრი კაბელი გამოიცვალა. ზოგან კი შემაერთებელი ხაზების რიცხვი მეტად გაიზარდა და მაინც არ გვყოფნის. ისმის კითხვა: რა არის მიზეზი?

გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ერთი საუბრის საშუალო ხანგრძლივობა თბილისის სატელეფონო ქსელში 3,5-ჯერ აღემატება ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ანალოგიურ მაჩვენებელს! ხაზების ასეთი დატვირთვის მიზეზი უმეტესად, უმაქნისი, არაფრისმთქმელი საუბრებია, ტელეფონით მუსიკისა და ლექციების ჩაწერაა, გაკვეთილების მომზადებაა. ზოგჯერ ტელეფონის მფლობელნი სატელეფონო ხაზების საშუალებით ერთმანეთს ასმენინებენ სხვადასხვა სიმღერას, მუსიკას.

●

**რა ტექნიკური სიახლეებია გათვალისწინებული ავტომატური ტელეფონების ქსელის მუშაობის გასაუმჯობესებლად?**

— როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ავტომატური სატელეფონო ქსელის მუშაობის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გაკეთდა და ბევრი რამ კიდევ მოსაგვარებელია. კერძოდ, კაპიტალურად შეკეთდა ბევრი სატელეფონო სადგურის სასადგურო მოწყობილობა, ელექტროკვების წყაროები, სადგურთაშორისო შემაერთებელი, მაგისტრალური და განმანაწილებელი კაბელები. თითქმის ყველა შემაერთებელი და მაგისტრალური კაბელის წნევა მუდმივია, რაც საშუალებას გვაძლევს დროულად აღმოვფხვრათ მოსალოდნელი ავარიული დაზიანება.

მაგრამ სატელეფონო სამსახურის მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის მარტო კაბელების შეცვლა საკმარისი არ არის. საჭიროა სასადგურო მეურნეობის სადგურთაშორისო შემაერთებელი მოწყობილობის და, რა თქმა უნდა, როგორც შემაერთებელი, ისე მაგისტრალური და განმანაწილებელი კაბელების თანდათანობით შეცვლა და ტექნიკური მოწესრიგება.

ბოლო ხანებში ორი ახალი სატელეფონო სადგური (23, 34) ამუშავდა, გაიზარდა 66, 51, 37, 71, 62 სადგურების ტევადობა. ტელეფონ-ავტომატების რაოდენობამ ქალაქში ორ ათასს გადააჭარბა. გლდანის მასივში დამონტაჟდა ახალი ავტომატური სადგური — „67".

შარშან დიდუბეში საექსპლოატაციოდ გადაეცა 9 ათასნომრიანი თანამედროვე სრულყოფილი სისტემის სატელეფონო სადგური, რომლის ინდექსი „34"-ია. როგორც სასადგურო, ისე სახაზო სამსახური გაძლიერებულია და ძირითადად დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის, საქმის მცოდნე მუშაკებით.

●

**საინტერესოა, როგორია დედაქალაქის სატელეფონო ქსელის განვითარების პერსპექტივები?**

— მიმდინარე ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სისტემის გასაუმჯობესებლად. ამ ხუთწლედში ქალაქებისა და რაიონების ცენტრებში სატელეფონო ქსელების ტევადობა 70 ათას ნომრამდე გაიზარდა. 1981 წლისათვის ქალაქად გვექნება უკვე 310 ათასი, ხოლო სოფლად 90 ათასამდე ტელეფონი! შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის სადგური.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სისტემა, თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კავშირგაბმულობის ზრდის ტემპებით და ზოგი ხარისხობრივი მაჩვენებლით ჯერ კიდევ ჩამორჩება როგორც საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის დონეს. ხორციელდება ორგტექნიკური ღონისძიებები ხარისხობრივი მაჩვენებლების საგრძნობლად გაუმჯობესებისათვის.

●

**სატელეფონო ქსელის მუშაობაში გარკვეული ძვრები ნამდვილად შეინიშნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც კავშირის დამყარება გაძნელებულია ზოგიერთ ინდექსზე. გთხოვთ გაგვიმარტოთ, რა სიახლე ინერგება სატელეფონო ქსელის გასაუმჯობესებლად.**

— ვფიქრობთ, იმის ჩამოთვლა, თუ რა სამუშაოები შესრულდა სადგურთაშორისი კავშირის გასაუმჯობესებლად შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ მიმართულებაზე გაძნელებულია პირველივე ცდით სატელეფონო კავშირის დამყარება. ამის მიზეზი სხვადასხვაა. ზოგ მიმართულებაზე ჯერ კიდევ საკმარისი რაოდენობით (საპროექტო მონაცემებით) არ არის შემაერთებელი ხაზები. მათი რიცხვის გაზრდის სამუშაოები მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება. ხშირად ამ სამსახურის ტექნიკური პერსონალიც სცოდავს, როცა თავის დროზე არ გამოავლენენ და არ აღადგენენ ტექნიკურად გაუმართავ შემაერთებელ ხაზებსა და ხელსაწყოებს.

არის ცალკეული შემთხვევებიც, როდესაც როგორც დაწესებულების, ისე ბინის ტელეფონები დიდი ხნით არის გათიშული და მათი აღდგენა ჭიანურდება. ეს, რა თქმა უნდა უპირველესად საკაბელო მეურნეობის სააავარიო სამსახურის ბრიგადების მიზეზით ხდება, მათი არაოპერატიულობის შედეგია.

მაგრამ არც ისე ცოტა შემთხვევა გვაქვს ქალაქში, როდესაც სხვადასხვა ორგანიზაციები მიწისქვეშა სამუშაოების შესრულების დროს (რასაც ჩვენთან შეუთანხმებლად ასრულებენ) აზიანებენ და მწყობრიდან გამოჰყავთ დიდი ტევადობის როგორც შემაერთებელი, ისე მაგისტრალური და განმანაწილებელი კაბელები. მათი აღდგენა ჭიანურდება სათანადო კაბელების უქონლობისა და შრომატევადი სამუშაოების გამო. ეს იმიტომ, რომ ქუჩებისა და მოედნების რეკონსტრუქცია, აგრეთვე მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანა თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველოსთან შეუთანხმებლად ხდება, რასაც შედეგად დიდი ეკონომიკური და მორალური ზარალი მოსდევს. ბოლო წელიწადნახევარში ამ მიზეზით 35 დიდი ავარია მოხდა და მრავალი დიდტევადი კაბელი კარგა ხნით გამოვიდა მწყობრიდან, განსაჯეთ, რა დიდი ზარალია ეს.

●

**როდის შეიცვლება კაბელები, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს ჩვენი სატელეფონო მომსახურება?**

სატელეფონო სამსახურის მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის მარტო კაბელების შეცვლა საკმარისი არ არის. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საჭიროა სასადგურო მეურნეობის სადგურთაშორისი შემაერთებელი მოწყობილობის და, რა თქმა უნდა, როგორც შემაერთებელი, ისე მაგისტრალური და განმანაწილებელი კაბელების თანდათან შეცვლა და ტექნიკურად მოწესრიგება. კიდევ ვიმეორებ, ამ მიმართულებით უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ გაკეთდა. ათიათასობით კილომეტრი კაბელი შეკეთდა და შეიცვალა. აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება.

ამჟამად ვმუშაობთ შემაერთებელი და მაგისტრალური ქსელების ელექტრული პარამეტრების წესრიგში მოსაყვანად. შემაერთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ხაზების შემჭიდროების აპარატურაზე გადაყვანა ბევრად აუმჯობესებს სადგურთაშორის კავშირს, აღკვეთს ლაპარაკის შეწყვეტას, საუბარში სხვის ჩარევას. სამინისტრომ ამ მიზნით მომავალი წლისთვის 100 კომპლექტი შემჭიდროების აპარატურა „კამა“ გამოყო.

ამრიგად, კავშირგაბმულობის მუშაკთა მუშაობაში ორი მთავარი პრობლემაა გასათვალისწინებელი და გადასაჭრელი — სატელეფონო სადგურების თანმიმდევრული სტაბილური მშენებლობა და სატელეფონო სადგურების მუშაობის შემდგომი სრულყოფა. ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი კი არის დაზიანებათა ბიუროს მუშაობის ხარისხის ამაღლება, რათა ყოველთვის დროულად ხდებოდეს უწესივრობის ლიკვიდაცია.

●

**— როგორ მუშაობთ კადრებთან, რა კეთდება მათი შერჩევისა და განაწილების, აღზრდის, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის?**

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ კადრების საკითხი ძალზე გვაწუხებს. დიდია მათი დენადობა. კადრების შენარჩუნებისათვის სტიმულირების ყველა ფორმას სათანადოდ ვერ ვიყენებთ. ამჟამად მთელი ყურადღება გადატანილი გვაქვს სასწავლო ბაზის მოწყობასა და განვითარებაზე. გათვალისწინებულია ჩქარა აშენდეს კავშირგაბმულობის ტექნიკუმისა და დაუსწრებელი სწავლების ინსტიტუტის შენობა.

●

**— როგორ გესახებათ კავშირგაბმულობა 2000 წლისათვის?**

— კავშირგაბმულობა 2000 წლისათვის ე.ი. 20 წლის შემდეგ კიდევ უფრო სრულყოფილი და, ვიტყოდი, ტექნიკურად რთული იქნება. განვითარების უფრო მაღალ დონეს მიაღწევს საფოსტო კავშირი. მთლიანად გაბატონდება პირდაპირი შეერთების ავტომატური სატელეფონო კავშირი ე. ი. ჩვენი დედაქალაქის აბონენტებს საშუალება ექნებათ ბინიდან ავტომატურად, ტელეფონისტის დაუხმარებლად დაუკავშირდნენ რესპუბლიკის რომელიც გნებავთ და რესპუბლიკის გარეთ მყოფ აბონენტებს. თბილისის სატელეფონო ქსელის ტევადობა საგრძნობლად გაიზრდება. იგი ამ დროისათვის 500.000 მიაღწევს და, ვფიქრობთ, ტელეფონის მსურველთა დაკმაყოფილებაც შედარებით ადვილი იქნება. ეს ხომ უახლოესი მომავალია!

ამჟამად რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს. ამ უდიდესი ღირსშესანიშნავი თარიღების შესახვადრად რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკების წინაშე დგას დიდი ამოცანა — რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ საერთო სახალხო საქმეში, რადგან კარგად განვითარებული კავშირგაბმულობა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

საუბარი ჩაიწერა **ეთერ ჯაფარიძემ**



**ირინე გერასიმოვა**

ა. კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტი

# მომავლის იმედით

ირინე გერასიმოვა ცნობილი მოცურავეა, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი; ხუთი წლის წინათ ირინე ძმამ, იგორმა ქუთაისში ერთ-ერთ შეჯიბრებაზე წაიყვანა. გოგონას ძალიან მოეწონა სპორტული ცურვა და გადაწყვიტა მოცურავე გამხდარიყო. ჩანაფიქრი ძმას გაუმხილა.

...და დაიწყო ვარჯიში გამოცდილ მწვრთნელ თამარ ზოტოვასთან. აღმზრდელს ხწამდა შეგირდის მომავალი წარმატებები, ნაზ, ჩია ტანის გოგონას უხვად ჰქონდა მომადლებული ნიჭი, ხისწრაფე, მოქნილობა, და რაც მთავარია, ცურვის დიდი სიყვარული.

... ირინე გერასიმოვა თბილისში გადმოდის და მწვრთნელ დ. ვეჩხაიზერის მოცურავეთა ჯგუფში იწყებს დასტატებას. დღითიდღე აუმჯობესებს შედეგებს. მოკლე ხანში მეორეთანრიგოსანი გოგონა სპორტის ოსტატი გახდა.

ნიჭიერ გოგონას საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები ყურადღებით აკვირდებიან. და აი, ოლიმპიურ წელს საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ამხანაგურ სამატჩო შეხვედრაში მას ანდობენ ჩვენი ქვეყნის გუნდის ღირსების დაცვას. აქ იგი არცთუ ურიგო შედეგს აღწევს — მეოთხე ადგილი!

მერე ირინე შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში ინგლისელ, ირლანდიელ და მასპინძელ მოცურავეებთან ერთად მონაწილეობდა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (59,85 წამი).

ყოველი სპორტსმენი, გამოცდილი იქნება თუ ახალბედა, ოცნებობს მაღალი რანგის შეჯიბრებაში იასპარეზოს, უძლიერესთა ჭიდილში მეტ გამოცდილებას იძენს. წლეულს ვინ არ ოცნებობდა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. ოცნებობდა ირინეც, ამისთვის კი კიევში გამართულ საკავშირო პირველობაში იყო საჭირო თავის გამოჩენა. და თქვა კიდევაც თავისი სიტყვა — თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში მეოთხე ადგილზე გამოვიდა, ხოლო ამავე სტილით 200 მეტრზე ცურვაში — მეორე ადგილზე. სწორედ მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ს. ვოიცეხოვსკიმ ანდო ირინეს 4X100 მეტრზე კომბინირებულ ამანათცურვაში ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა.

ეს დიდი ნდობა და დაფასება იყო. ხუმრობა როდია პირველივე ეტაპზე გამოსვლა. კარგ სტარტზე ხომ მთელი გუნდის ბედ-იღბალია დამოკიდებული...

სწრაფად, ძალიან სწრაფად მიიწევდა წინ. თითქმის ყველა მეტოქე ჩამოიტოვა უკან. მაგრამ ვაი, რომ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. მის შემდეგ დისტანციაზე გამოდიოდნენ ნატალია სტრუნიკოვა, ლარისა ცარიოვა და ოლგა კლევაკინა. გამოირკვა, რომ სტრუნიკოვა ადრე გადაშვებულა წყალში და ამიტომაც ჩვენი ნაკრები ფინალში ველარ გავიდა.

— ვერ წარმოიდგენთ, რა გულდაწყვეტილი ვიყავით გოგონები, ოთხივე ვტიროდით, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოგვდიოდა, — მითხრა თბილისში დაბრუნებულმა ირინე გერასიმოვამ. ვიმედოვნებდი, მწვრთნელები მომცემდნენ საშუალებას პირად პირველობაში 200 მეტრზე ცურვაში მიმეღო მონაწილეობა. მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა...

სხვა მის ადგილზე იმედს გადაიწურავდა, გულს გაიტეხდა. მაგრამ თბილისის მეოცე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეს ირინე გერასიმოვას შეუპოვარი წინააღმდეგობის უნარი და იშვიათი სიმტკიცე აღმოაჩნდა.

მოსკოვის XXII ოლიმპიადის დამთავრებიდან რამდენიმე დღესაც არ გაევლო, რომ დნეპროპეტროვსკში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა. აი, სად უნდა დაემტკიცებინა ირინეს თავისი ძლიერება.

თავისუფალი სტილით 100 მეტრზე, 200 მეტრზე და კომპლექსურ ცურვაში „ოქროს" სამი მედალი მოიპოვა. დაგვეთანხმებით, მართლაც რომ შესანიშნავი მიღწევაა. პირველი ორი დისტანცია გაცურა შესაბამისად 59.5 წამში და 2 წუთსა და 07.09 წამში, რაც საქართველოს ახალი რეკორდი გახლავთ.

— იმ წუთებში ყველაზე ბედნიერი ვიყავი. მშობლიურ ქალაქ ქუთაისზე და ჩემს პირველ მწვრთნელზე თამარ ზოტოვაზე ვფიქრობდი. მე პირადად მისი ძალიან დიდი მადლიერი ვარ. თუ კი რაიმეს მივაღწიე, ეს პატივცემული თამარის დამსახურებაა. დარწმუნებული ვარ, როცა ჩემს წარმატებას შეიტყობდა, როგორ გაიხარებდა. გამარჯვებული კვარცხლბეკზე რომ ვიდექი, ჩემს რესპუბლიკასა და ქალაქზე ვფიქრობდი.

გეგმებზე რომ ჩამოვუგდეთ სიტყვა, ღიმილით მოგვიგო:

— ცოტას დავისვენებ, მერე კი მოვემზადები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატისათვის. მომავლისათვის კი იმ ოლიმპიურ ოქროს მედალზე ვფიქრობ, რომელიც მოსკოვში ხელიდან გამოგვეცალა. ვინ იცის, იქნებ 1984 წელს ლოსანჯელესში გაგვიმართლოს იმედი... ვნახოთ.

თეიმურაზ მორგოშია

## ჩვენს მუზეუმებში

# აკაკის ქება მესხი მანდილოსანი

გიყვარდეს მშობელი მიწა — საქართველო, და არ იამაყო მესხეთის აწმყოთი და წარსულით, — შეუძლებელია. ქართული კულტურის აკვანი ხომ მესხეთში დაირწა, ჟამთა სვლამ ხომ ვერ აღგავა პირისაგან მიწისა დიდებული ვარძია, ზარზმა, საფარა, თმოგვი...

ყველა შემონახული ძეგლი, ექსპონატი და ძვირფასი ხელნაწერი მესხეთის არსებობის უტყუარი დასტურია. მათში კარგად ჩანს ჩვენი სევდიანი — ტკივილიანი წარსული და გადარჩენის სიხარული.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, „შევისწავლოთ მემკვიდრეობა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს შემოვიფარგლოთ მემკვიდრეობით". სწორედ ამ გზას ადგას აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის კოლექტივი. მუზეუმს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს მეცნიერ მუშაკთა, მასწავლებელთა და ამ საქმით დაინტერესებულ პირთა საკმაოდ დიდი აქტივი როგორც რაიონის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

შარშან მუზეუმის კოლექტივმა აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად ნაყოფიერად იმუშავა: მოამზადა და გახსნა კიდევ ოთხი საექსპოზიციო დარბაზი, რომლებიც აკადემიკოს ლ. გაბუნიას თქმით, „სავსებით შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე დონეს, ასახავს საგამოფენო საქმის მაღალ კულტურას".

საგამოფენო დარბაზებში (რომ არაფერი ვთქვათ მუზეუმის ფონდში დაცულ ძვირფას მასალაზე) წარმოდგენილია მესხეთის ისტორიული წარსული, გამომზეურებულია ახლო წარსულის დაფანტული

ეროვნული ბიბლიოთეკა



როზა მეფისაშვილი (მარცხნივ) სურათის ქარგვის პროცესში.

ფურცლები. დამთვალიერებელს წარმოდგენა რჩება მრავალტანჯული მესხეთის წარსულსა და ნათელ აწმყოზე. ისინი თავიანთ კმაყოფილებას შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერილი სტრიქონებით გამოხატავენ. საიდან არ მოდიან სტუმრები, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, საბჭოთა კავშირის ყოველი მხრიდან: ციმბირიდან, შუა აზიიდან, შორეული აღმოსავლეთიდან თუ საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნიდან.

იშვიათ ექსპონატებს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი: „მადლობა ყველას, ვინც ასე სათუთად და სიყვარულით უვლის და იცავს ჩემი ქვეყნის მძლეთამძლე მარცვლებს", — წერს ჟურნალისტი ვახტანგ გეგელია.

ყურადღება მინდა შევაჩერო XIX საუკუნის ერთ ექსპონატზე. ეს გახლავთ ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში — ნაქარგი „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაცია — „შოთა რუსთაველი მიართმევს თავის პოემას თამარ მეფეს", ყველას აინტერესებს, ვინ შექმნა ეს იშვიათი ქმნილება.

ხალხს უთქვამს — „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა". „მესხი სწავლითა ქებული". სახელოვან ადამიანთა შორის ღირსია გავიხსენოთ ის მესხი ქალი, რომლის ნამუშევარიც ასეთ დიდ შეფასებას იმსახურებს.

ილუსტრაციის ავტორი, ძველი ახალციხის (რაბათის) მკვიდრი მესხი მანდილოსანი როზა ივანეს ასული მეფისაშვილი გახლავთ.

როზა მეფისაშვილს დაუმთავრებია ახალციხის რაბათის ქალთა (დედათა) ქართული სკოლა.

რაბათის სკოლას დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა მესხ ქალთა გათვითცნობიერების საქმეში. ამიტომ იყო, რომ მის გახსნას (1871 წლის 4 აპრილს) „ცისკრის ამოსვლას" ადარებდნენ. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი თავის ერთ-ერთ საგაზეთო წერილში „აბასთუმანი" წერდა: „საკმარისია სულ ცოტა ხანი დაჰყოთ ახალციხის ქალთა სკოლაში, რომ ნათლად შეიგნოთ, თუ რა კეთილ გავლენას ახდენს ბავშვებზე სკოლაში ყოფნა და სწავლა. გოგონების მკვირცხლი და გონივრული სახეები, შეკითხვებზე მათი მოფიქრებული და თავისუფალი პასუხები გვიჩვენებს, რომ მათი გონებრივი ძალები გაღვიძებულია სწორი და პედაგოგიური განათლებით".

სწორედ რაბათის დედათა სკოლაში ქარგვა-ქსოვის კარგად სწავლებასა და მოსწავლეთა დახელოვნებაზე ლაპარაკობს როზა ივანეს ასულ მეფისაშვილის ოქრომკედით ნაქარგი სურათები: „ილუსტრაცია ვეფხისტყაოსნიდან" და „ფეხზე მდგომი თამარ მეფე", ასევე მეორე მოსწავლე ქალის ნატალია პეტრეს ასულ გიორგაძის ნამუშევრები: „საქართველოს მეფეთა გერბები", „რუკა" და სხვა;

XIX საუკუნის ბოლოს როზას ოჯახი დროებით საცხოვრებლად ქუთაისში გადასულა. მისი მამა ქუთაისში მდიდარი ფაბრიკანტი ყოფილა. შემდეგ კი კვლავ ახალციხეში უცხოვრია.

ქუთაისში ყოფნისას მოუწყვიათ გამოფენა, სადაც მოუთავსებიათ რ. მეფისაშვილის მიერ მოქარგული „ილუსტრაცია ვეფხისტყაოსნიდან". გამოფენას ესწრებოდნენ ჩვენი უკვდავი მწერლები აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი. დათვალიერების დროს როზას ერთ მხარეს აკაკი მდგარა, მეორე მხარეს კი — რაფიელი. რ. მეფისაშვილის ნახელავით განცვიფრებულ აკაკის როზასთვის მხარზე ხელი დაუდვია და წარმოუთქვამს სიტყვა. სურათის ავტორი აი ეს ქართველი მესხელი ქალი, მეფისაშვილი გახლავთ, მან მოქარგა ეს ძვირფასი ქმნილება და ეს იმ დროს, როდესაც მან მხატვრობა სულაც არ იცისო. სწორედ აკაკის რჩევითა და მონდომებით წარადგინეს ნაქარგი პარიზის გამოფენაზე, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად (ა. დიდიმამიშვილის ხელნაწერი დრ. № 311 სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი). როზა მეფისაშვილს ამ სურათისათვის ოთხი წელინადი მოუნდომებია (1894_98 წ. წ.) გარდა ამისა მას მოუქარგავს თამარ მეფის სურათი.

რ. მეფისაშვილის ნაწარმოებები დიდი სინატიფით არის შესრულებული, ხასიათდება ფერების იშვიათი ჰარმონიულობით. ნაქარგის შესრულებისას გამოყენებულია ფერადი ძაფები, ძვირფასი თვლები, მძივები, აბრეშუმი და ნამდვილი თმა, ხოლო ადამიანთა ფიგურები ოქრომკედითაა ამოქარგული, რაც მეტყველებს ავტორის დიდ შემოქმედებითს უნარსა, შრომისმოყვარეობასა და ნებისყოფაზე.

რ. მეფისაშვილი ცხოვრობდა სოფ. უდეში (ადიგენის რაონი). გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 1935 წელს, მისი დის ალათი ალოშაშვილის ოჯახში. დაკრძალულია სოფელ ივლიტის სასაფლაოზე.

ნაზი სუდაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგი რამ ქალის უფლებებზე

1975 წლის 1 მაისიდან მშობლებს, რომელთა შვილებიც დაიღუპნენ ფრონტზე, მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის მიღების უფლება ენიჭებათ, სულ ერთია იმყოფებოდნენ თუ არა დაღუპული სამხედრო მოსამსახურის კმაყოფაზე.

საბჭოთა ქალებისათვის მოქმედი საპენსიო კანონმდებლობით ბევრი შეღავათია დაწესებული. დღეისათვის ყველა ქალს პენსიის მიღების უფლება აქვს 55 წლის ასაკიდან, არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟის მქონეთ, ხოლო ქალებს, რომლებმაც შობეს და 8 წლამდე აღზარდეს ხუთი ან მეტი შვილი, მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ ხუთი წლით ადრე და ხუთი წლით ნაკლები მუშაობის სტაჟით.

განსაკუთრებით შეღავათიანია უსინათლო მუშა-მოსამსახურე ქალების საპენსიო უზრუნველყოფა. მათ მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ 40 წლის შესრულების შემდეგ, თუ 10 წლის მუშაობის სტაჟი აქვთ, ხოლო ქალებს, რომლებიც დაავადებული არიან ჰიპოფიზიკური ნანიზმით (ლილიპუტები), პენსია ეძლევათ იმავე ასაკიდან, მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟის მქონეთ.

45 წლის ასაკში, თუ 15 წლის მუშაობის სტაჟის მქონენი არიან, პენსიას მიიღებენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, შრომის მავნე პირობებში და ცხელ საამქროებში მომუშავე მუშა-მოსამსახურე ქალები, თუ აღნიშნული 15 წლიდან ნახევარი მაინც ნამუშევარი აქვთ იმ თანამდებობებსა და პროფესიებზე, რომელიც იძლევა შეღავათიანი პირობებითა და შეღავათიანი ოდენობით პენსიის მიღების უფლებას.

50 წლის შესრულების შემდეგ და არანაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟის შემთხვევაში პენსია ენიშნებათ სხვა მძიმე შრომის პირობებში მომუშავე ქალებს, იმ შემთხვევაშიც თუკი საჭირო სტაჟის არანაკლებ ნახევარი ნამუშევარი აქვთ აღნიშნულ პროფესიებსა და თანამდებობებზე.

ქალებს, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს, მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ 50 წლის მიღწევისას და უნდა ჰქონდეთ 20 წლის მუშაობის სტაჟი.

20 წლის მუშაობის სტაჟით 50 წლის შესრულებისას ასაკის პენსიის მიღების უფლება აქვთ აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მუშა ქალების გარკვეულ კატეგორიას, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის დადგენილებით შეუმცირდა მოხუცებულობის პენსიის მისაღებად საჭირო წლები მექანიზატორ ქალებს.

1975 წლის 1 აპრილიდან აღნიშნული შეღავათით სარგებლობენ ქალები, რომლებიც მუშაობენ მემანქანე-ტრაქტორისტებად სოფლის მეურნეობაში ან სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე ქალები, რომლებიც მუშაობენ მემანქანეებად სამშენებლო, საგზაო და დამტვირთავ-გადმომტვირთავ მანქანებზე 15 წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურე ქალებისათვის პენსიის დანიშვნის დროს, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, თითქმის მთლიანად ვრცელდება კოლმეურნეობის წევრ ქალებზე.

ხშირად გვეკითხებიან როგორც პირადად, ისე წერილობით, რა შემთხვევაში მოიპოვებს ქალი მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო პენსიის მიღების უფლებას? — იმ შემთხვევაში, თუ იგი იმყოფებოდა გარდაცვლილ მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში და მის სრულ კმაყოფაზე. გარდაცვლილის კმაყოფაზე ნამყოფად არ ჩაითვლება მეუღლე, თუ ის კოლმეურნეობის შრომისუნარიანი წევრი იყო.

სასიხარულო ცვლილებაა კანონში ფრონტზე დაღუპულ მეომართა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ამჟამად პენსია ენიშნება ფრონტზე დაღუპული ყველა მეომრის მეუღლეს, იმის მიუხედავად, ჯარში გაწვევის წინ იმყოფებოდა თუ არა, ქმრის კმაყოფაზე, როდის შეუსრულდა საპენსიო ასაკი და ჰყავს თუ არა შრომისუნარიანი შვილები.

აღსანიშნავია, რომ ეს უფლება ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეთა, პარტიზანთა და აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფაში სამხედრო მოსამსახურეებთან გათანაბრებულ მოქალაქეთა შრომისუუნარო ცოლებზე, თუ მარჩენალი დაიღუპა (უგზო-უკვლოდ დაიკარგა) ან გარდაიცვალა ფრონტზე (პარტიზანულ რაზმში) ან გარდაიცვალა უფრო გვიან, მაგრამ ფრონტზე ან პარტიზანულ რაზმში მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების შედეგად.

კანონი ზემოაღნიშნული წესით სამხედრო მოსამსახურეთა მეუღლეებისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ ძალაშია 1980 წლის 1 მაისიდან.

და კიდევ ერთი სიახლე: მიმდინარე წლის 1 მაისიდან სრული ოდენობით (15 პროცენტის დაკლების გარეშე) გადაუანგარიშდება პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომელთაც პენსიები დანიშნული აქვთ სოფელ ადგილებში მუდმივად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობასთან კავშირის მქონეთა ნორმით.

გარდაცვლილის მეუღლეს პენსია დაენიშნება, თუ მან მოხუცებულობის ასაკს მიაღწია, ან დაინვალიდდა მარჩენალის გარდაცვალებამდე ან არაუგვიანეს ხუთი წლისა მისი სიკვდილის შემდეგ, ხოლო გარდაცვლილის მეუღლეს, რომელსაც სრულწლოვანი, შრომისუნარიანი შვილები არ ჰყავს, პენსია ენიშნება მოხუცებულობის ასაკის მიღწევის ან დაინვალიდების დროის მიუხედავად.

ამასთან, პენსია რომელიც მეუღლის გარდაცვალების გამო დაენიშნა, პენსიონერ ქალს ენახება ახლად დაქორწინების შემთხვევაშიც.

გარდა პენსიისა საბჭოთა ქალებს ენიშნებათ სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახეობა-დახმარებები.

სახელმწიფო დახმარება მიეცემათ დედებს, რომელთაც ჰყავთ სამი შვილი, მეოთხე და ყოველი შემდგომი შვილის დაბადებისას. დახმარების რაოდენობა იზრდება ყოველთვიურად შვილთა რაოდენობის მიხედვით.

ერთდროული დახმარება გაიცემა ბავშვის დაბადებისას, ხოლო ყოველთვიური დახმარება — ბავშვის დაბადების შემდეგ მეორე წლიდან, მანამ ვიდრე მას ხუთი წელი შეუსრულდება.

აღნიშნული დახმარება დედას მაშინაც დაენიშნება და მიეცემა, როცა დახმარებას იღებს მის მიერ წინათ შობილი შვილების გამო.

მრავალშვილიანი დედისათვის დახმარების დანიშვნისას მხედველობაში მიიღებიან მის მიერ შობილი და ნაშვილები ბავშვები, აგრეთვე ქმრის შვილები და ქმრის მიერ ნაშვილები ბავშვები, რომლებიც დედამ მიიღო აღსაზრდელად 12 წლის ასაკამდე.

მრავალშვილიან დედას სახელმწიფო დახმარება დაენიშნება და მიეცემა ბავშვებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის მიუხედავად იღებს თუ არა იგი ამ შვილებზე პენსიას ან ალიმენტს.

სახელმწიფო დახმარება დაენიშნებათ და მიეცემათ მარტოხელა დედებს (რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში) ბავშვების შესანახავად და აღსაზრდელად, თუ დაბადების მოწმობაში არ არსებობს ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ ან ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ მოხდენილია დადგენილი წესით — დედის მითითებით.

მარტოხელა დედებს დახმარება დაენიშნებათ და მიეცემათ მანამ, ვიდრე ბავშვებს 12 წელი შეუსრულდებათ.

ყველა ორსულ ქალს — მუშას, მოსამსახურეს, კოლმეურნეს შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო მიეცემა 112 კალენდარული დღე. აქედან მშობიარობამდე 56 დღე და მშობიარობის შემდეგ 56 დღე.

ქალებს, რომელთაც იშვილეს ახალშობილი ბავშვები უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, შვებულება მიეცემათ შვილად აყვანის დღიდან — ბავშვის დაბადებიდან 56 დღის გასვლამდე არსებული პერიოდისათვის.

1974 წლის 1 ოქტომბრიდან დაწესდა სოციალური უზრუნველყოფის კიდევ ერთი ახალი სახეობა — დახმარებები ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის.

აღნიშნული დახმარება ენიშნება დედას თვეში 12 მანეთის ოდენობით თითოეულ ბავშვზე, რომელსაც 8 წელი არ შესრულებია. იმ შემთხვევაში, თუ მისი ოჯახის საშუალო თვიური ერთობლივი შემოსავალი თვეში 50 მანეთს არ აღემატება.

დღეისათვის რესპუბლიკაში დახმარებას იღებს 38.843 მრავალშვილიანი და 4.206 მარტოხელა დედა. ხოლო ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის განკუთვნილი დახმარება სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან და სხვადასხვა კოლმეურნეობებიდან დანიშნული აქვს 39650-ზე მეტ ქალს. ათასობით ქალი აღნიშნულ დახმარებას მისი ან მეუღლის სამუშაო ადგილის მიხედვით იღებს.

ირინე ღლონტი,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პენსიებისა და დახმარებების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

# წინასაახალწლო განწყობილება

## რჩევები

ახალი წელი კარზეა მომდგარი. დიასახლისები წინა საზეიმო ფაციფუცში არიან გართული. ლაგდება ბინა — იწმინდება, იხეხება, სუფთავდება ავეჯი, ჭამ-ჭურჭელი, კრიალი გაუდის კარ-ფანჯრებს. ასეთ დროს ზოგიერთი რჩევა თუ კულინარული რეცეპტი დიასახლისებს სულზე მიუსწრებს ხოლმე; გთავაზობთ რამდენიმე სასარგებლო რჩევას:

**უმი კარტოფილი** კარგად წმენდს სარკესა და მინას. ბრტყლად დაჭრილი კარტოფილი წაუსვით სარკის ან მინის ზედა პირს, შემდეგ წყლით ჩამორეცხეთ და სუფთა ჩვრით გაამშრალეთ.

კარტოფილი კარგად ახსნასებს ნოხებსაც: წვრილად დახეხეთ 2-3 ცალი უმი კარტოფილი, დაასხით ოთახის ტემპერატურის წყალი. ორი საათის შემდეგ დოლბანდში გაწურეთ და მიღებული სითხით გადაწმინდეთ ნოხის ზედაპირი.

კარტოფილი ჭურჭელს კარგად აცლის დუღილის შედეგად წარმოქმნილ ნალექს: ჭურჭელი პირთამდე წყლით გაავსეთ, ჩადეთ შიგ კარტოფილის რამდენიმე ნაჭერი და ერთ საათამდე ადუღეთ.

**ლიმონი** კარგად წმენდს სპილოს ძვლის ძველ ნივთებს: ლიმონის წვენში აურიეთ ერთი ჩაის კოვზი მარილი და მიღებული ნაზავით ამოწმინდეთ გაჭუჭყიანებული ადგილები. მერე კი გადაწმინდეთ ლიმონისა და ფქვილის ნარევით.

ლიმონი ჩამუქებულ ვერცხლის ნივთებს ელვარებას დაუბრუნებს თუ მათ ლიმონის ნაჭერს გაუსვამთ, შემდეგ ცხელი წყლით გარეცხავთ და რბილი ჩვრით გაამშრალებთ.

ლიმონის წვენი სხივს უბრუნებს ბამბუკის ავეჯს: ერთ ლიტრ მდუღარე წყალს დაუმატეთ 5-6 სუფრის კოვზი ლიმონის წვენი, დაასველეთ შიგ ჩვარი და გადაუსვით ავეჯს.

**წითელი ხახვი** — თეთრ ავეჯს და კარ-ფანჯრის ჩარჩოებს ლაქებს მოაშორებს თუ გაჭუჭყიანებულ ადგილებს გაჭრილი ხახვით ამოწმინდავთ და შემდეგ მშრალ ჩვარს გადაუსვამთ.

თუ ტარაკნების გაწყვეტა გსურთ, 10 ჩაის კოვზი ბორაქსი, — 5 სუფრის კოვზი ფქვილი, 5 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 3 ჩაის კოვზი დაფხვნილი კანიფოლი ერთმანეთში აურიეთ და ნაზავი ისეთ ადგილებში დადეთ, სადაც ტარაკნები არიან.

**ჭიანჭველების მოსასპობად** კაკლის სიმსხო საფუარის („დროჟი") ნაჭერი და ერთი სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი ცოტა წყლის საშუალებით ერთმანეთში აურიეთ, (შეგიძლიათ ცოტა თაფლიც დაუმატოთ), და კარგად დაზილეთ. მიღებული ნაზავი გაანაწილეთ ახანთის ყუთებში, სანახევროდ თავახდილი დადეთ ისეთ ადგილებში, სადაც ჭიანჭველებია. რამდენიმე დღეში ჭიანჭველები გაწყდება.

**ბუზების მოსასპობად** —კარადის თავზე (ან ისეთ ადგილას, რომ არ მოჩანდეს) დადეთ თავლია ჭურჭელი, რომელშიც აბუსალათინის („კასტორკა") ზეთი ასხია. მალე ბუზები გაქრება.

ჭია რომ არ გაუჩნდეს, პარკში სადაც ფქვილს ან წითელ პილპილს ინახავთ, რამდენიმე გაუფცქვნელი ნივრის კბილი ჩადეთ.

გარეკანზე — ვინც მეათე ხუთწლედში გვასახელა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/XI-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XII-80 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.3 ტირაჟი 134.100. შეკვ. 2902. უე 00785.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. გენგიურის ფოტო.

# ახალგარეჯის ძეობა...

გარეჯის უკაცრიელ ზეგანზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სასოფლო საბჭო და დაფუძნდა ახალი სოფელი. სოფელი უდაბნო... საფუძველი ჩაეყარა მომავლის ზვრებსა და ბაღებს, ჯეჯილის ყანებსა და თვალუწვდენელ საძოვრებს.

ამ მიწებს სული უნდა ჩაუდგან ახალგაზრდებმა.

ნელი ბაფხოშვილმა და ავთო ბერმამუკელმა, რომლებიც ზეიმის დღეს შეწყვილდნენ და სიმრავლის სამბოლოდ მრავალშვილიანი მამისაგან — ავთანდილ მიქელაშვილისაგან საჩუქრად აკვანი მიიღეს... იქორწინეს და ოთხოთახიან აგურით ნაგებ ახალ სახლშიც დაიდეს ბინა!

„გილოცავ, მიწავ, ქართულო, შვილების ყოვლისმძლეობას, უდაბნოს ალორძინებას, ახალგარეჯის ძეობას!",

б 90/3
ეროვნული ბიბლიოთეკა











